ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი საქართველო

მრგვალი მაგიდის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

26 IV 1991

№ 14 (19)






საქართველოში გაფიცულია ყველა საკავშირო დაქვემდებარების საწარმო, საზღვაო და სარკინიგზო გზები. ეს თითქმის ეროვნულ დაუმორჩილებლობას უდრის.

ქართველი ხალხი ბოიკოტს უცხადებს კრემლის უხეშ ჩარევას საქართველოს საშინაო საქმეებში.

ასე გამოხატავს საქართველო თავის თანადგომას ხელისუფლების ოფიციალური პოლიტიკის მიმართ.






ეროვნული ბიბლიოთეკა

# იდეა პატივმოყვარეობის სამსხვერპლოზე

## ღია წერილი ისტორიულ გვარეულობათა საკრებულოს მესვეურთ

ამ ცოტა ხნის წინათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა საზოგადოებას ამცნეს, რომ საქართველოში ჩამოყალიბდა ახალი ორგანიზაცია — ისტორიულ გვარეულობათა საკრებულო (ანუ, თუ შენიღბვის გარეშე მოვიხსენიებთ, იგივე თავად-აზნაურთა საკრებულო).

დღეისათვის ამ ფაქტის შეფასება სავსებით არაერთგვაროვანი გახლავთ. თავისთავად, ქართულ წარჩინებულ სახლობათა ღირსებები სათანადო აღიარებით სარგებლობს თვით მსოფლიოს მასშტაბითაც კი. ამის დასტურად თუნდ ის ფაქტიც გამოდგება, რომ დაახლოებით ორი ათეული წლის წინ ესპანეთში გამოცემულ წიგნში, სადაც შეკრებილია მთელს დედამიწაზე საკუთარი გერბის მქონე უძველეს კეთილშობილ გვარეულობათა ნუსხა, საბჭოთა იმპერიიდან მხოლოდ რუსი და ქართველი ...რების წარმომადგენლები არიან ...ხსენიებულნი. მეორეს მხრივ, თუ გავითვალისწინებთ თავად-აზნაურობის როლს საქართველოს ისტორიაში, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ისტორია მისი თავად-აზნაურობის ისტორიაცაა.

ეს ყოველივე კეთილი და პატიოსანი ...ვთქვათ, თავად-აზნაურობის ინსტ...უტმა შეასრულა თავისი ისტორიული მისია. მაგრამ რაგვარად შეიძლ... გვესახებოდეს მისი ფუნქცია ...ერსპექტივაში? პასუხს თავისთავად იძლევა თანამედროვე განვითარ...ული დასავლეთის ქვეყნების პრაქ...კა: როგორ და — წარსულის ტრადი...ციების დამცველ ან პატივმოყვარეობის ამბიციებით პყრობილთათვის გვარის წინ გამოსახული ასო „ფ“-ს მეშვეობით, ხოლო საკრებულოში გაერთიანებულ ყოველი წევრისათვის ზუსტად იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრივილეგიებით, როგორიც აქვთ, მაგალითად, კინომოყვარულთა ან გოლფის მოყვარულთა კლუბებს თავ-თავიანთ საკლუბო ტერიტორიაზე. არც მეტი და არც ნაკლები.

აკი თვით სამეფო ტახტის მემკვიდრე, ბატონიშვილი გიორგი სწორედ წოდებრიობას — სამეფო კარის მომავალ ჩანასახს გულისხმობს, როცა უარყოფს ამ უკანასკნელის საჭიროებას: „თანამედროვე მონარქია დემოკრატიას, ხალხის ნება-სურვილს ემყარება. იქ, სადაც სამეფო კარია, იწყება დიფერენციაცია ადამიანებს შორის, წარმოიშობა პრივილეგირებული ფენა, რაც გაუმართლებელია“ (გაზ. „ერი“ 17. 1. 1991 წ.).

მაგრამ სამეფო კარი ექნებათ თუ იახტ-კლუბი, ისტორიულ გვარეულობათა წარმომადგენლები თვითონ იპოვნიან ერთად თავმოყრის საშუალებას. და ეს მოხდება თავისთავად, მონარქისტული ყაიდის სახელმწიფოში. ხოლო მანამ, ვიდრე ჩვენ რესპუბლიკურ საქართველოში ვცხოვრობთ, იქნება ეს წარსულის კომუნისტური დიქტატურის ქვეყანა თუ თავისუფლების გზაზე მავალი დემოკრატიული რესპუბლიკა, სრულიად გაუმართლებელია და მეტიც, თვით იმ მიზნის (თუ ვიგულისხმებთ, რომ საკრებულოების ბუნებრივი დანიშნულებაა მონარქიზმის იდეის დამკვიდრება) დამასამარებელიც შეიძლება შეიქნეს, რა მიზნითაც ისინი იქმნება. საქმე ის გახლავთ, რომ სოციოლოგიური გამოკვლევების მონაცემებით საქართველოში დღეისათვის კონსტიტუციურ მონარქიას მხარს უჭერს მოსახლეობის მხოლოდ 12,5%. ეს კი იმას ნიშნავს, ხალხმა რომ გაითავისოს ქართველი ერისთვის ბუნებრივი და ტრადიციული სამეფო იდეა, ამისთვის ჯერ კიდევ დიდი ძალისხმევაა საჭირო. ქართველი ხალხი ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოფხიზლებული 70-წლიანი კომუნისტური კოშმარიდან და კიდევ მეტი, 190-წლიანი სახელმწიფოებრიობას მოკლებული არსებობიდან. არც გაემტყუნება, რომ მას დღეისათვის არ ჰქონდეს გაცნობიერებული საქართველოსთვის სამეფოს აღდგენის მნიშვნელობა პარლამენტურ საწყისებზე და მით უმეტეს, რომ უფრთხოდეს დიქტატურისა და ჩაგვრის ახალ ფორმებს. ნუ დაგვავიწყდება, 1918 წელს ქართველ მშრომელთა უმრავლესობამ იმიტომ მისცა ხმა სოციალ-დემოკრატებს, რომ ეროვნულ პარტიებში თავად-აზნაურობა იყო გაერთიანებული და მათი გამარჯვების შემთხვევაში მოსალოდნელი სოციალური უთანაბრობისა და წოდებრივი დიფერენციაციისა ეშინოდათ.

თავად-აზნაურობის საკრებულოს შექმნას კი სწორედ ამგვარი შიშის გამოწვევა შეუძლია, რითაც იგი თავისდა უნებურად **ლახვარს ჩასცემს ზურგში მონარქისტულ იდეას.** მით უფრო, რომ სოციალური პრივილეგირებულობის ნიშანთა გარდა იგი თავის საქმიანობაში ეროვნული პოზიციითაც იწვევს ეჭვს: მაშინ, როდესაც საქართველო საბჭოური ორბიტიდან მოწყვეტას ცდილობს, საკრებულოს შეხვედრებზე საპირისპირო სურათია: კითხულობენ მიმართვებსა და მისალმებებს რუსეთის მაღალგვაროვნული წარმომადგენლებისაგან, ხოლო საკრებულოს ცალკეული წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებენ იმპერიის ანალოგიური ხასიათის საკრებულოთა თავყრილობებში. ამგვარი კავშირების ნეგატიური არსი უფრო თვალსაჩინო რომ გახდეს, თუ მკრეხელობად არ ჩაგვეთვლება, ისინი შეიძლება შევადაროთ ქართველ სპორტსმენთა მონაწილეობას საკავშირო ჩემპიონატებში, რაზეც მადლობა ღმერთს, უკვე უარი განაცხადა საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა. საკრებულოს კი ვინა ჰყავს მეურვე, რომ ერთხელ და სამუდამოდ აუხსნას: ყოველგვარი ურთიერთობა ქართველთაგან დღეს უნდა წარიმართოს არა საკავშირო, არამედ საერთაშორისო დონეზე! მაგრამ, იმისათვის, რომ თავის მოქმედებას ეროვნული მოძრაობის მოთხოვნებს უთანხმებდეს, პიროვნებას მომადლებული უნდა ჰქონდეს სათანადო მრწამსი. ჩვენ სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ 1989 წლის დამდეგიდან, მას შემდეგ, რაც თითქმის ნახევარი საუკუნის დუმილის შემდგომ, აღდგა და გაიშალა მონარქისტული მოძრაობა, არც სამეფო კლუბ „ფარნავაზში“ და არც მონარქისტულ პარტიაში, რომელთა წევრებიც თავის დროზე გახლდით, არ გვახსოვს საკრებულოს რომელიმე წევრს მიეღოს რაიმე მონაწილეობა მიტინგებში, ან მანიფესტაციებში, რომ აღარაფერი ვთქვათ შიმშილობებზე და პროტესტის უფრო მკვეთრ ფორმებზე, რომლებიც კი მიმართული იყო კომუნისტური დიქტატურის დასამხობად.

თუ საკრებულოს დამაარსებელს, ქალბატონ ია მუხრანელს დავუჯერებთ („სვობოდნაია გრუზია“ 20. IV. 91 წ.) მის სამწყსოში არიან რეპრესირებულნი, გადასახლებაში ნამყოფნი, უსამართლოდ შეურაცხყოფილნი; ადამიანები, რომლებიც ხშირად იძულებულნი გამხდარან საკუთარი გვარიც კი დაემალათ — მაგრამ ახლა ხომ სხვა დროა, ახლა ხომ არავინ ერჩის მათ, ახლა ხომ აღარ სჭირდებათ საკუთარი გვარის დამალვა. ვინ უშლით, ილვაწონ ერის საკეთილდღეოდ — განა ამისთვის საკრებულოს შექმნაა აუცილებელი?

იქნებ, მეტი არ იყოს, გავახსენოთ საკრებულოს პატივცემულ წევრებს, რომ სამეფო გვარის ღვთიური წარმომავლობისაგან განსხვავებით, თავად-აზნაურთა გვარები სავსებით მიწიერი წარმოშობისა არიან და თუ ოდესმე ჰქონიათ მათ რაიმე გამორჩეულობა, მხოლოდ იმით დაუმსახურებიათ, რომ მეწინავე დროშასთან მდგარან ერისათვის უმძიმეს წუთებში. და თუ ამ საუკუნის დასაწყისში ჩვენმა წარჩინებულმა თავად-აზნაურობამ დათმო თავისი წოდებები და პრივილეგიები მატერიალურ ფასეულობებთან ერთად ერის საკეთილდღეოდ, დღეს მათ შთამომავლებს რაღა დაემართათ, რომ თავისი გენეალოგიური აღმატებულობის ჟინით შეპყრობილთ, სადაც არ უხნავთ, მკა იქ მოსურვებიათ და თავმომწონედ მისხდომიან მრგვალი მაგიდის გაწყობილ სუფრას?!

**ზურაბ ახვლედიანი,**
**ანდრო ბელიძე**

Scudo di S. GIORGIO

Sodalizio della Comunita' Italo-Georgiana

წმინდა გიორგის ფარი — იტალიელთა და ქართველთა ერთობა






დღეს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, იტალიის ისტორიის სპეციალისტი და ამ ქვეყნის ექსპერტი ბატონი ნოდარ გაბაშვილი შეხვდა ჩვენს იტალიელ თანამემამულეს ბატონ აიმონე მესხს და მის ვაჟს კონსტანტინეს.

ბატონი აიმონე მეორედ ეწვია საქართველოს, ამჯერად საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევით. იგი პროფესიით ინჟინერია, სამშენებლო ფირმის მფლობელი. ამ ერთი კვირის წინ იტალიაში შეიქმნა საზოგადოება „**წმინდა გიორგის ფარი** იტალიელთა და ქართველთა ერთობა“, რომლის საპატიო პრეზიდენტია სამეფო გვარის შთამომავალი, პრინც რაიმონდ ორსინი დი არაგონას მეუღლე ქალბატონი ქეთევან ბაგრატიონი, პრეზიდენტი კი თვით ბატონი აიმონე. საზოგადოება მიზნად ისახავს შეაკავშიროს იტალიაში და სხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველები. მათ სურთ, აგრეთვე იტალიაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულენი და საქართველოთი დაინტერესებული იტალიელები დააკავშირონ საქართველოსთან.

ბატონი აიმონე მესხის თქმით ეს საზოგადოება არასახელმწიფოებრივია და დიდი ეკონომიკურ-პოლიტიკური პოტენციალი აქვს. შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს ჩვენს ქვეყანას. ერთ-ერთი მთავარი მიზანი ამ საზოგადოების შექმნისა სწორედ ესეც გახლდათ. რაც შეეხება ბატონ აიმონეს ვაჟს, — კონსტანტინეს, იგი ორი თვეა უკვე აქ არის და თბილისის უნივერსიტეტში უცხოელებისათვის განკუთვნილ ენის შემსწავლელ კურსებზე ეუფლება ქართულს. მომავალი წლიდან კი სწავლას განაგრძობს ბიოლოგიის ფაკულტეტზე.



აღსანიშნავია, რომ ამ ცოტა ხნის წინ საქართველოში შეიქმნა იტალიის კულტურის ცენტრი, რომელსაც იტალიის საელჩომ მოსკოვში უწოდა „დანტე ალიგიერი“ და სცნო მისი ოფიციალური არსებობა, რის შესახებაც გაიგზავნა ოფიციალური ცნობა იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დანტე ალიგიერის საზოგადოებაში. ეს საზოგადოება ერთადერთია, რომელიც მთელს მსოფლიოში პროპაგანდას უწევს იტალიის კულტურას.

ახლა, როდესაც „წმინდა გიორგის ფარი“ იტალიაში მოგვევლინა მფარველად, იმედია, კულტურულეკონომიკური ურთიერთობები იტალიასა და საქართველოს შორის უფრო ღრმა და ნაყოფიერი იქნება, ინფორმაციასაც სწორს მიაწვდის იტალიის საზოგადოებას.

**საკუთარი ინფორმაცია.**

**ვარლამ ბენბიურის ფოტოები.**

# გავტეხოთ ციხე შიგნიდან?!

ყოველი ჩვენგანი შეძრულია იმ არაობიექტური, ყალბი მტრული ინფორმაციით, რომელიც ჩვენი ქვეყნის შესახებ უცხოეთში ვრცელდება (საქართველოს ფარგლებს გარეთ რაც არის, ყველაფერი უცხოეთია. სამწუხაროდ, ამ აქსიომატური ჭეშმარიტების ხაზგასმა ჯერ კიდევ საჭიროდ მიგვაჩნია). საიდან ჩნდება დეზინფორმაცია, ვინ აწვდის მსოფლიოს, ვინ ავრცელებს?! იმდენჯერ აღშფოთდა ამ ბოლო დროს ქართველი კაცი, თითქმის შეეჩვია კიდეც რომ უსამართლოდ ლანძღავენ და თათხავენ. თითქოს ველარც კი ვამჩნევთ, რა უბედურებაც გვჭირს, პირველ რიგში, ჩვენივე თავისაგან გვჭირს. ვერანაირი გარეშე მტერი ვერ დაგვაკლებდა ვერაფერს, თავად ქართველები რომ არ მტრობდნენ საქართველოს. ჩვენდა სავალალოდ, მსოფლიოში ჩვენს შესახებ გავრცელებული ამაზრზენი სიყალბის სათავე სწორედ საქართველოში მდებარეობს...

ნათქვამის საილუსტრაციოდ უცხოური პრესის რამდენიმე პუბლიკაციას მოვუხმობთ.

„ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბუნის“ 22 მარტის ნომერში გამოქვეყნდა მაიკლ დობსის წერილი საქართველოს შესახებ (სხვათა შორის, წერილი დაბეჭდილია გაზეთის პირველ გვერდზე, რაც ნიშნავს, რომ მასალა გაზეთის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პუბლიკაციას წარმოადგენს).

წერილი საკმაოდ ობიექტურია, მდიდარია ინფორმაციით, ავტორი დაწვრილებით აღწერს შიდა ქართლში არსებულ ვითარებას. დასავლური ჟურნალისტიკის ტრადიციისამებრ გადმოგვცემს ორივე მხარის, როგორც ქართველების, ისე ოსების პოზიციას, ამასთან ერთად, ქართველების არგუმენტები რაოდენობრივად მეტია და უფრო დამაჯერებელიც ჩანს. წერილი, უეჭველია, ამ სულისკვეთებით დასრულდებოდა, რომ არა კიდევ ერთი დაინტერესებული „მხარე“ — ბატონი გიორგი ჭანტურია. მისი განცხადებით, ბატონი ზვიად გამსახურდია ავიწროებს ოსებს(!) საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნულ უმცირესობებს და მოსკოვი იყენებს მას ქართული ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციისთვისო. გ. ჭანტურია საქართველოს პრეზიდენტს შემდეგი ეპითეტებით ახასიათებს — „მანიაკი“, „ფაშისტი“, „ფსიქოპატი“, და ერთ დროს „სუკის აგენტი“. საქართველოში ამჟამად 70 პოლიტპატიმარია და კომუნისტური რეჟიმი უფრო ლმობიერი იყო, ვიდრე ახალი ხელისუფლებაო.

უნდა აღინიშნოს, ამერიკელი ჟურნალისტი ამ აბსურდულ ბრალდებებს კომენტარს არ უკეთებს, უთუოდ იმიტომ, რომ კარგად უწყის, სიტყვიერი ექსტრემიზმი, ცილისწამება და შეურაცხყოფა უმალ წარმომთქმელს ახასიათებს, ვიდრე ადრესატს.

ბატონ მაიკლ დობსთან სასაყვედურო ნამდვილად არაფერი

(დასასრული მე-8 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრობლემა

**საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით იცვლება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკაც. ამასთან დაკავშირებით გვესაუბრება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბატონი ტარიელ ბელანტია.**

# რადიკალური განახლებით — ეკონომიკური პოლიტიკის ლიბერალიზაციისაკენ

**— ბატონო ტარიელ, როგორ აფასებთ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღებას?**

— ამ აქტის მიღება დროული და სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო ჩვენთვის, რადგან ე. წ. „ცენტრის" მიერ საქართველოსათვის ფაქტობრივმა ომის გამოცხადებამ, აქედან გამომდინარე ყოველგვარი უარყოფითი შედეგებით, თავდაცვის ინსტიტუტების მაქსიმალური ამოქმედება მოითხოვა, რის განხორციელებაც მხოლოდ იურიდიულად თავისუფალ, მძლავრ საპრეზიდენტო ხელისუფლების მქონე სახელმწიფოს შეუძლია; ამასთან 31 მარტის რეფერენდუმში ქართველი ხალხის მიერ გამოვლენილ თავისუფლების ურყევ ნებაზე შესაბამის რეაგირებას მოითხოვდა.

**— ამ აქტის მიღების შემდეგ, ვფიქრობ, უფრო ძლიერდება საზღვარგარეთის ქვეყნებთან ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური კონტაქტების გაღრმავების და დასავლური გამოცდილების გაზიარების აუცილებლობა.**

— სავსებით მართალი ბრძანდებით, თუ გარდამავალი პერიოდის პირველ ეტაპზე ჩვენ ვცდილობდით ეროვნული ეკონომიკის პარალელური სტრუქტურების მომზადებას არსებული იმპერიული სტრუქტურების დემონტაჟის პირობებში, დღეს ძირითადი აქცენტი სუვერენული, ლიბერალური ეკონომიკური სისტემის დაჩქარებულ განვითარებაზე უნდა გადავიტანოთ.

აუცილებელია, საერთაშორისო ბაზარზე ჩვენი კუთვნილი ადგილი დავიკავოთ, რაც უცხოეთთან, განსაკუთრებით მეზობელ სახელმწიფოებთან, მჭიდრო კავშირების გარეშე შეუძლებელია. სწორედ ამ მიზნით ამ დღეებში თურქი ბიზნესმენები გვესტუმრნენ ჩვენთვის უაღრესად საინტერესო და შორსმიმავალი პროექტებით. მათ სურთ ჩვენთან ერთობლივი ბანკის, საწარმოების შექმნა, ვაჭრობის განვითარება. აქ გამოყენებულ უნდა იქნას ის უპირატესობანი, რაც ახასიათებს საზღვრისპირა და სანაპირო ვაჭრობას. თურქეთი ჩვენი მეზობელი ქვეყანაა. მრავალი ათეული კილომეტრი საერთო საზღვარი გვაქვს. მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდებების გარეშე შეგვიძლია სატრანსპორტო კომუნიკაციების ამუშავება.

აპრილის დასაწყისში თურქეთში გახლდათ ჩვენი პარლამენტის დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ეკონომიური რეფორმების კომისიის თავმჯდომარე — ბატონი გივი თაქთაქიშვილი, საქიმპექსის (საქ. იმპორტ-ექსპორტის გენერალური გაერთიანება) გენერალური დირექტორი — ბატონი დევი ვერულეიშვილი, რომელმაც უკვე ბევრი სერიოზული პროექტი განახორციელა და კიდევ მრავალი მნიშვნელოვანი განზრახულობანი აქვს, მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიკური განყოფილების გამგე, ცნობილი თურქოლოგი, პროფესორი ნოდარ კომახიძე და თქვენი მონა-მორჩილი.

ამ თავყრილობაში ჩვენს გარდა მონაწილეობდა თურქეთისა და აღმოსავლეთ ევროპის (საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკების ჩათვლით) ყველა ქვეყანა (გერმანიის გარდა). საქართველოს დელეგაცია დამოუკიდებლად გახლდათ წარმოდგენილი. მიზანი თავყრილობისა, თურქეთის საბაზრო ეკონომიკის გამოცდილების გაცნობა იყო. საინტერესო მიღებები გვქონდა ტრაპიზონისა და ანტალიის გუბერნატორებთან. შევხვდით ანკარის გუბერნატორსაც, თუმცა ეს მოკლე, რამდენიმე წუთიანი შეხვედრა წინასწარ დაგეგმილი არ ყოფილა. მიგვიღო მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა ჩელიქიმ და ბოლოს პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა აკბუკუტ ილდირიმმა. შეხვედრა, რომელსაც ჩვენს გარდა ესწრებოდნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები და სხვა დელეგაციებიც, ბატონმა პრემიერ-მინისტრმა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „გადაეცით თქვენს ხელისუფალთ, რომ მთელი თურქეთი მზად არის, ემსახუროს საქართველოს ნებისმიერ სფეროში, იქნება ეს განათლება, კულტურა, ვაჭრობა, საბანკო საქმე თუ სხვა".

1979 წლიდან, მოყოლებული, 10-12 წლის განმავლობაში, თურქეთმა რეალურად განახორციელა ლიბერალური ეკონომიკური მოდელი, რომელიც პრეზიდენტ თურგუთ ოზალის სახელთანაა დაკავშირებული. შეიძლება ითქვას, რომ თურქეთმა განვლო ის გზა, რომელიც მას უკვე ევროპულ ქვეყნად წარმოგვიდგენს.

სულ რამდენიმე წელია, რაც თურქეთთან საზღვარი გაიხსნა, მაგრამ ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, საქართველოსთვის მეტად საჭირო, ცეცხლის ფასად ნაყიდი დოლარები თურქეთის ეკონომიკას უფრო ხმარდება, ვიდრე ჩვენსას, ვინაიდან ჩვენს გაძვალტყავებულ ბაზარზე არაფერი იშოვება და ამიტომ ეს დოლარები, რომლითაც უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება შეიძლება, მართალია მეტად საჭირო, მაგრამ მაინც ერთჯერადი მოხმარების საგნების შეძენაზე იხარჯება.

ამდენად, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკური რეფორმების კომისიები თავგამოდებით ცდილობენ უფრო რადიკალური პროექტები აქციონ მოლაპარაკების საგნად. თურქეთის მხარე მზადაა საქართველოს რეგიონებში გახსნას საჭირო რაოდენობის მაღაზიები, სავაჭრო ობიექტები, სადაც მოსახლეობა დოლარებითა და მანეთებით შეიძენს პირველადი მოთხოვნილების სამომხმარებლო პროდუქციას. ისინი მზად არიან აგრეთვე გახსნან ჩვენთან ერთობლივი ბანკები და სატრანსპორტო ორგანიზაციები.

**— რა არის ამისთვის საჭირო?**

— საბანკო კანონი, რომელიც უკვე განხილულია კომისიებისა და ყველა დაინტერესებული უწყებების მიერ და, ალბათ, უახლოეს სესიაზე გატანილ იქნება დასამტკიცებლად. უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის დადგენილების საფუძველზე ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს საბაჟო სისტემის შესამუშავებლად. ეს საშუალებას მოგვცემს მოვიღოთ შორს მიმავალი გადაწყვეტილებანი, სავაჭრო თუ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფის თვალსაზრისით. აკი გითხარით, ვიცოდით, რომ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა აღდგებოდა მაგრამ ახლა, მისი რეალურად გამოცხადების შემდეგ, ვიმედოვნებთ, რომ ბევრად ნაკლები იქნება ჯერ კიდევ შემორჩენილი კონსერვატიული ძალების წინააღმდეგობა. უნდა წავიდეთ რადიკალური განახლების გზით, პრივატიზაციის, თავისუფალი მეწარმეობის გზით, რათა ლიბერალური გავხადოთ ჩვენი ეკონომიკური ცხოვრება. ყოველივე ამან უნდა უზრუნველყოს ბიუჯეტის სახსრების გაზრდა და მისი წარმართვა, არა წამგებიანი პროექტების, გაბერილი, ფსევდო საზოგადოებრივი სტრუქტურების სარჩენად, არამედ კერძო პირების დასაინტერესებლად. უნდა მოვეშვათ შეღავათიანი კრედიტების გაცემის მართვის არაეფექტიან ფორმებზე. უნდა დავაინტერესოთ უშუალოდ მეწარმეები, ბიზნესმენები, ინიციატივიანი ადამიანები, რომლებიც საკუთარი შრომითა და ძალისხმევით, თვითონ იქნებიან თავიანთი წარმატებისა თუ წარუმატებლობის გარანტი. წარუმატებლობა შეიძლება იყოს, ეს ნორმალური პროცესია. ყველა ვერ იქნება ჭკვიანი ბიზნესმენი თუ ბანკირი. ბანკროტი საკუთარი უძრავ-მოძრავი ქონებით უზრუნველყოფს ამ კრედიტების უკან დაბრუნებას. ადრე კი ჩვენ მიზნობრივად ვაკრედიტებდით და ამიტომ ამ კრედიტების უკან დაბრუნების ყოველგვარი იმედი, ფაქტობრივად, გადაწურული იყო. ეს იცოდა კრედიტის გამცემმაც და მიმღებმაც და ხშირად ეს ბიუჯეტიდან დაფინანსების ფორმას ღებულობდა. ამას კი, არა თუ საქართველო, არამედ ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაუძლებდა. ამიტომ, ჩვენ ამთავითვე ვიწყებთ პროექტების საჯარო განხილვაზე გამოტანას. ბუნებრივია, განხილვაში მონაწილეობას მიიღებს არა მარტო დაინტერესებული უწყებები და ორგანოები, სპეციალისტები და ექსპერტები, რომლებიც კომისიებში და ქვეკომისიებში ამზადებდნენ ამ პროექტებს, არა მარტო პარლამენტის წევრები და დეპუტატები, არამედ საზოგადოებრიობის ფართო წრეები, ე. ი. ის ადამიანები, რომლებიც, ბუნებრივია, დაინტერესებულნი არიან გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამის საშუალებას მივცემთ კოოპერატივების, ასოციაციების და ფირმების წარმომადგენლებს. მართალია, ასეთი სტრუქტურები ჯერ ცოტაა, მაგრამ რაც არის, ის უნდა ავამოქმედოთ, რადგან სწორედ იქ ძირითადად ინიციატივიანი ადამიანები არიან თავმოყრილნი. უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება ნაკლები ზარალი ვნახოთ ამ გადაწყვეტილების მიღებისას. ბუნებრივია, შეცდომები იქნება, მაგრამ ამის შიშით არაფრის კეთებას, ჯობია საქმე ვაკეთოთ და ამ ქმნადობის პროცესში ვისწავლოთ. ვფიქრობ, ეს პროცესი ძალიან წაადგება საქმეს. სწორედ შეცდომებისაგან თავის დაღწევის სურვილით წავედით თურქეთში, რომელიც 70-იანი წლების მეორე ნახევრამდე ასეთივე ტოტალიტარული ქვეყანა იყო. მართალია, იქ საბაზრო ეკონომიკის ელემენტები მაინც არსებობდა, მაგრამ საბოლოო ჯამში ისიც ჩვენებრ ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემით იყო მოცული. თურქეთის გამოცდილება ჩვენთვის გზის მკვლევი უნდა გახდეს. მათი გამოცდილება მისაღებია იმი[illegible] რომ ევროპაშიც, კერძოდ, [illegible] ის ფედერაციული რესპუბლ[illegible] ჩამოყალიბება ჰიტლერული ფაშიზმის შემდეგ, სწორედ ამ გზით განხორციელდა. მართალია ეს მოხდა სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ მათ საუკუნეების განმავლობაში თავისუფალი საბაზრო მეურნეობის მართვის უდიდესი გამოცდილება ჰქონდათ. თურქეთში კი ეს ახლა შეიქმნა და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ტერიტორიულად, გეოპოლიტიკურად, შესაძლოა, ფსიქიკითა და განწყობითაც კი, ისინი უფრო ახლოს არიან ჩვენთან, უნდა ვიფიქროთ, რომ მათი მოდელი ჩვენთვის მისაღებია. მით უფრო, საქართველო იქ არათუ ახსოვთ, არამედ ქართული წარმოშობის ბიზნესმენებიც მრავლად ჰყავთ, რითაც კიდეც ამაყობენ და მზად არიან მაქსიმალურად დაგვეხმარონ. ცხადია, ამ შემთხვევაში, კაპიტალი ფილანთროპიას და ქველმოქმედებას სულაც არ გულისხმობს, თუმცა არც ეს მომენტია გამორიცხული.

**— ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას ძალზე აწუხებს სოფლის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა. რაში ხედავთ გამოსავალს?**

— საჭიროა რადიკალური ცვლილებები. ვიცით, რომ მხოლოდ ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქციით ფონს ვერ გავალთ, მაგრამ მარცვლეულისა და სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქციის წარმოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. პირველ რიგში უნდა დავეხმაროთ იმ კერძო თუ შერეული საკუთრების საწარმოებს, რომლებიც საკუთარი შრომით, ინიციატივით და შეიძლება ითქვას, ნიჭითაც კი, შეძლებენ მდგომარეობის გამოსწორებას, თორემ არსებულ სტრუქტურებში — მხოლოდ უიმედობაა. დასავლეთის ქვეყნების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ შეღავათები უნდა დაუწესდეს არა, ვთქვათ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ან უწყებას, არამედ იმ მეწარმეთ, რომელნიც უშუალოდ იქნებიან დასაქმებულნი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებით, ე. ი. იმათ, ვინც ჩვენი შეღავათიანი ეკონომიური პოლიტიკის ცენტრში აღმოჩნდებიან.

აქამდე ჩვენი სოფლის მეურნეობა ფორმალურად პროტექციონისტული იყო, მაგრამ პრაქტიკულად — ფასების ისეთი სისტემა მოქმედებდა, რომლითაც დარღვეული იყო სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის ეკვივალენტური გაცვლა — სოფელს ძალზე ძვირად მიეწოდებოდა სამრეწველო პროდუქცია — მანქანა-იარაღები, დანადგარები, შხამქიმიკატები და ა. შ. რაც უარყოფითად მოქმედებდა მთელს სოფლის მეურნეობაზე. ეს საკითხი სწრაფად უნდა გადაიჭრას. საჭიროა სოფლად შეიქმნას სრულიად ახალი ეკონომიკური სისტემა, თანაც ისეთი, რომ გამოავლინოს სიცოცხლისუნარიანი ფორმები, რომლებიც არსებული საბაზრო ეკონომიკის ან ლიბერალური ეკონომიკური მოწყობის პირობებში თვითონვე შეძლებენ მომგებიანად ფუნქციონირებას.

ამასთან ერთად, შევეცდებით ზოგიერთი, განსაკუთრებით ეფექტიანი და წარმატებული კოლექტიური თუ საზოგადოებრივი მეურნეობა ჯერჯერობით შევინარჩუნოთ, ამ გარდამავალ ეტაპზე მაინც. იმიტომ, რომ მხოლოდ ბაზრის სტიქიას ვერ დავეყრდნობით. რაღაც მინიმალური მარაგი, დოვლათის ნატურალური სახეობისა, აუცილებელია, თუნდაც სოციალურად დაუცველი ფენებისათვის. ასე რომ უნდა მოხდეს — ფაქტია, მაგრამ ყველაფერ ამას კანონის ფორმა მხოლოდ პარლამენტის დონეზე განხილვისა და საბოლოო მოწონების შემდგომ მიეცემა.

**— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თქვენთვის ახლა, ალბათ, მთავარია ლიბერალიზაცია.**

— ჭეშმარიტად, თანაც ბევრად იმაზე მეტი, ვიდრე ვვარაუდობდით. დღეს, როდესაც ცენტრს ვშორდებით და მისგან სასიკეთოს არაფერს ველით, ცხადია, მეტი თავისუფლება გვჭირდება, თუმც არც იმაზე მეტი, რაც ამ ეტაპზეა დასაშვები.

სამწუხაროდ, ამ შვიდი ათეული წლის მანძილზე ამოვძირკვეთ ის ინიციატივიანი, მეურნე ადამიანები, რომელთა დეფიციტსაც დღეს ასე მწვავედ განვიცდით. განსაკუთრებულ ხელშეწყობას ვპირდებით იმას, ვინც წარმატებით იფუნქციონირებს. ერთბაშად ბევრის გაშვება საერთაშორისო ბაზარზე საშიშია, იმიტომ, რომ გაუჭირდებათ ჩვენებს ცურვა იმ თავისუფალი ბიზნესის ოკეანეში. სურვილი კი ბევრს აქვს, ხშირად გულუბრყვილოც, მაგრამ ეს არაფერია, უნდა ვისწავლოთ, რისკიც უნდა გავწიოთ. ის, ვინც სწავლის პროცესში ერთხელ წააგებს და საკუთარი ჯიბიდან ექნება ზარალი ასანაზღაურები, მეორე ნაბიჯს უფრო ფრთხილად გადადგამს. სხვანაირად არაფერი გამოვა. დრო აღარ ითმენს, ჰაერივით გვჭირდება დასავლეთის ბაზრის გამოცდილების დაგროვება, თორემ ვატყობთ, რომ ჩვენი წინამორბედების გამოცდილება კარგს არაფერს მოგვიტანს, უკვე გვაქვს კიდეც საკუთარი სკამითა და მაღალი თანამდებობით ტკბობის პრეცედენტები.

**— მმართველობის აპარატის შემცირებას თუ აპირებთ?**

— აუცილებლად. არსებულის მნიშვნელოვანი შემცირება უკვე განვახორციელეთ, მაგრამ ეს საკმარისი არაა. ჩვენ უნდა შევცვალოთ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა არა რაოდენობა, არამედ ფუნქცია. ჩვენს მოდელში ნავარაუდევი იყო, რომ გარდამავალი პერიოდის ბოლოს ბევრი მატერიალური წარმოების სამინისტრო და უწყება აღარ იარსებებდა, მაგრამ მოვლენათა სწრაფი განვითარების გამო, ეს ალბათ მალე მოხდება. სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საკონსულტაციო ცენტრები უნდა გვქონდეს იმ სამინისტროების სახით, რომლებიც ხელ-ფეხის ახსნაში დაეხმარებიან ჩვენს მეურნე ადამიანებს, გუთნისდედებს, მხვნელ-მთესველებს, მუშებს, ბიზნესმენებს, ბანკირებს. მაქსიმალურად უნდა დავაჩქაროთ იმ მიზნების განხორციელება, რაც 2-3 წლის შემდეგ იყო ნავარაუდევი. ბუნებრივია, ეს დაკავშირებულია ინსტიტუტებსა და კოლეჯებში სწავლის პროცესთან, ჩვენი კადრების უცხოეთში გაგზავნასა და იმათ აქ მოწვევასთან, მაგრამ დაყოვნება აღარ შეიძლება. უამრავ წინადადებებს გვთავაზობენ. დღე-დღეზე ველოდებით კონსულტანტებს ამერიკიდან, მაღალი რანგის მეცნიერები და სპეციალისტი-პრაქტიკოსები უფასო დახმარებას გაგვიწევენ. 20 აპრილს საარიდან გვეწვია გამოცდილი ბანკირი ოტო შტაინერი, რომელიც მზადაა ერთი თვის განმავლობაში გაგვიზიაროს თავისი გამოცდილება საბანკო საქმესა და საგადასახადო პოლიტიკაში.

უამრავი წინადადებებია სხვა კომისიებშიც და ცხადია მუხლჩაუხრელი მუშაობა გვმართებს, მეტად დაძაბული და აქტიური. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მათი გამოცდილება, თორემ გვინდა თუ არ გვინდა, კარს მოგვადგა ის, რასაც საბაზრო ეკონომიკა ჰქვია.

**ჩაიწერა დალი ბერმანიშვილმა**

# პირველი ნაბიჯები გადადგმულია

**საფრანგეთიდან ოფიციალური ვიზიტის შემდეგ დაბრუნდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია. ბატონი გიორგი ხოშტარია, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებებს.**

საფრანგეთში გავფრინდი 9 აპრილს, იმ დღეს, როცა საქართველოს უზენაესმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. 10-დან 19 აპრილამდე ვიმყოფებოდი საფრანგეთში, ძირითადად პარიზში, ნახევარი დღე ვიყავი სტრასბურგში. ვიზიტის საფუძველი იყო გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ მდივან ბატონ მაიორთან წინასწარ დაგეგმილი ოფიციალური შეხვედრა.

ცხადია, დამოუკიდებლობის გამოცხადებამ გაასკეცებული მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა მიანიჭა ჩვენს ვიზიტს. მიუხედავად ყოყმანისა ჩავთვალეთ, რომ იქ ჩასვლა აუცილებელი იყო, რადგან ჩვენი სამომავლო პოლიტიკური ურთიერთობებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს გარშემო კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შექმნას მსოფლიოში. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ დასავლეთი თავისი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე უფრთხის საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესების დაჩქარებას. მას აშინებს იმ ძვრების მასშტაბი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ამხელა სახელმწიფოს დაშლამ. ამიტომ არიდებს თავს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეებში ჩარევას და იმ საბაბით, რომ უპირატესობას რეფორმატორულ გზას ანიჭებს, მხარს უჭერს გორბაჩოვის ოფიციალურ პოლიტიკას. ასეთია ევროპის ოფიციალური კურსი.

მაგრამ, მოგეხსენებათ, პოლიტიკური ინტერესები არც მაინც და მაინც მდგრადი ცნებაა, ამიტომ არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ სტერეოტიპების დარღვევას, რომელიც საფუძვლად უდევს ამა თუ იმ პოლიტიკურ კონცეფციას. გარდა ამისა, ცნობილია, რომ მხოლოდ ოფიციოზი არ ქმნის პოლიტიკას. არსებობს კიდევ ოპოზიცია, საზოგადოებრივი აზრი, კონკრეტული ეკონომიკური და კომერციული ინტერესები, რაც თავის ზეგავლენას ახდენს ოფიციალური პოლიტიკის მიმართულებაზე. სწორედ ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მეტი სასურველი ინფორმაცია გავიდეს საქართველოს შესახებ, რათა ჩვენთან დაკავშირებულ ინტერესთა სფერო მაქსიმალურად გაფართოვდეს. ამას ემსახურებოდა ჩვენი ჩასვლა საფრანგეთში. პროგრამა ასეთი იყო, რაც შეიძლება მეტი კონტაქტი, მეტი ინფორმაცია, მეტი კეთილგანწყობა, მეტი სიმართლე საქართველოს შესახებ.

ამ მოკლე ვადაში მოხერხდა მრავალრიცხოვანი ოფიციალური და არაოფიციალური შეხვედრების მოწყობა საფრანგეთის ფართო საზოგადოებრიობასთან. დღეში ზოგჯერ 5—6 შეხვედრაში გვიხდებოდა მონაწილეობის მიღება. თვით ჩამოთვლაც კი ნათლად აჩვენებს, რამდენად მრავალფეროვანი იყო ჩვენი ურთიერთობების სპექტრი. უპირველეს ყოვლისა, ოფიციალური შეხვედრა გვქონდა გენერალურ მდივან ბატონ მაიორთან. შემდგომ ამისა, შევხვდით საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპული დეპარტამენტის უფროსს თავისი წევრებით, ინდუსტრიის სამინისტროს ევროპული დეპარტამენტის უფროსს, ფინანსთა სამინისტროს მთავარ ადმინისტრატორს (მეორე ფიგურაა სამინისტროში). ვესაუბრეთ ევროპარლამენტის საფრანგეთის პრეზიდენტს ქალბატონ სიმონ ვეის (ცენტრისტების ერთ-ერთ ლიდერს, პარლამენტის და სენატის საგარეო საქმეთა კომისიების თავმჯდომარეებს და წევრებს, ცენტრისტების ჯგუფს სენატში, შევხვდით აგრეთვე ფართო სპექტრის ფრანგული საზოგადოების, „მომავალი პოლიტიკა“, წარმომადგენლებს საფრანგეთის დიპლომატიური აკადემიის დირექტორის, ბატონ ბლომის, მეთაურობით. საზოგადოებაში შედიან სახელოვანი პოლიტიკოსები, დიპლომატები, სამხედროები, ყველაზე მაღალი რანგის სოვეტოლოგები — მათ შორის ცნობილი კარენ დ'ანკოზ — წარმოშობით ზურაბიშვილი — საფრანგეთის აკადემიის ერთადერთი წევრი პოლიტიკური სფეროდან. მოეწყო შეხვედრა ბატონ გოდინოსთან. იგი საფრანგეთის პრემიერ მინისტრის წამყვანი მრჩეველია, რაც მოადგილეს ნიშნავს, რადგან იქ მოადგილის ფუნქციას მრჩევლები ასრულებენ და ქალბატონ იგუს, ევროპული საქმეების მინისტრს.

იყო მეტად ინტენსიური და მრავალრიცხოვანი შეხვედრები პრესის და საერთოდ საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებთან. პრაქტიკულად ყველა წამყვანი გაზეთის რედაქტორს მივაწოდეთ ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ. იყო მრავალრიცხოვანი ინტერვიუები პრესით, ტელევიზიით, მათ შორის ამერიკულ ჟურნალ-გაზეთებთანაც. „სი-ენ-ენ“-მა ჩაიწერა 10-წუთიანი ინტერვიუ.

გარდა ამისა მოეწყო დიდი პრესკონფერენცია.

ახლა მოლაპარაკების შედეგებზე მინდა მოგახსენოთ ორიოდ სიტყვით: პარიზში გაიხსნება ქართული სახლი, თბილისში — ფრანგული სახლი. მივაღწიეთ იმას, რომ შეიქმნას ექსპერტების ჯგუფი საფრანგეთიდან და საქართველოდან, ეკონომიკის, ინდუსტრიის, დაფინანსების კონკრეტულ სფეროებში, რომლებიც ერთობლივად დაამუშავებენ პროგრამას, შეისწავლიან, რა სჭირდება საქართველოს, რა ტიპის დახმარებას გაიღებს საფრანგეთი, რამდენად მომგებიანია ეს თანამშრომლობა ორივე მხარისთვის და სხვა.

რაც მთავარია, მივაღწიეთ პრინციპულ თანხმობას საქართველოში საფრანგეთის საკონსულოს გახსნის შესახებ. ჯერჯერობით ეს იქნება მოსკოვში საფრანგეთის საელჩოს ფილიალი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს დიდი მიღწევაა, რადგან საკონსულო ამჟამად მხოლოდ უკრაინაში არის და მეორე საკონსულო ჩვენთან გაიხსნება. სხვა რესპუბლიკებს უარი ეთქვა საკონსულოების გახსნაზე.

ვიზიტის დროს ძირითადად განიხილებოდა რამდენიმე საკითხი: 1. საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური სიტუაცია; 2. რა ხდება ე. წ. ოსეთში; 3. რამდენად დემოკრატიულია საქართველოს მთავრობა. ყველა ამ საკითხებთან დაკავშირებით დავაც გვიწევდა, კამათიც, მტკიცებაც, ახსნაც და შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში მოხერხდა ჩვენი ხაზის გატარება, ჩვენთვის სასურველი თვალსაზრისის დამკვიდრება.

რასაკვირველია, ადმინისტრაციის ოფიციალურ წარმომადგენლებთან უფრო რთული იყო საუბარი, რადგან ისინი, როგორც უკვე ვთქვი, გორბაჩოვის პოლიტიკას უჭერენ მხარს, მაგრამ მიუხედავად ამისა, დიდი ყურადღებით ისმენდნენ ჩვენს ინფორმაციასაც. არც ერთი შეხვედრა საათზე ნაკლები დროით არ შემოფარგლულა, თითქმის ყველა აუდიენცია ორი, სამი საათის მანძილზე გრძელდებოდა.

ამ შეხვედრებმა ნათლად დაგვანახა, რომ საფრანგეთის პოლიტიკურ აზროვნებაში ორი პარალელური ხაზი იკვეთება — ოფიციალური და არაოფიციალური. ოფიციალური ხაზი მთლიანად ცენტრს აქვს დათმობილი, მაგრამ ამავე დროს დიდი ყურადღება ეთმობა რესპუბლიკების, განსაკუთრებით საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას და როგორც გამოირკვა, სულაც არ არიან გულგრილნი იმის მიმართ, თუ ოფიციალურად როგორი დამოკიდებულება ექნება საქართველოს მათი პოლიტიკისადმი.

ოფიციალური ხელისუფლების საპირისპიროდ ოპოზიცია, იგივე ცენტრისტები, მიესალმება საქართველოს დამოუკიდებლობას. მათმა ერთ-ერთმა ლიდერმა, სენატის თავმჯდომარემ პირდაპირ მითხრა, იგი მოხარულია, რომ საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. მათ ისიც შესანიშნავად ესმით, რომ ე. წ. ოსეთის „ეთნოკონფლიქტი“ კრემლის მიერ არის წამოწყებული და გაღვივებული, ხოლო ასეთ მოქმედებას საერთაშორისო ენაზე პროვოკაცია ჰქვია. აქაც პოზიციების სრული თანხვედრაა ჩვენსა და იქაური ოპოზიციის წარმომადგენელთა შორის.

ასევე ერთნიშნად აფასებენ ისინი იმპერიის დაშლის გარდუვალობას — გაუმართლებელ, აგრესიულ ანაქრონიზმად მიაჩნიათ ჩვენს დროში რეაქციული იმპერიის არსებობა, რომელიც თრგუნავს რესპუბლიკების თავისუფალ ნებას, ხელს უშლის მათი ბუნებრივი, უზენაესი უფლების, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განხორციელებას.

თვითონ ის ფაქტი, რომ ჩვენს პოლიტიკას საფრანგეთში, და საერთოდ დასავლეთში ოპოზიციის სახით ყავს რეალური მხარდამჭერი და ქომაგი, ძალიან ამაგრებს ჩვენს პოზიციას.

მეტად საიმედოა, რომ ვიზიტის დროს მოხერხდა გარკვეული ზემოქმედების მოხდენა, როგორც იმ წრეებზე, რომლებიც უშუალოდ იღებენ მონაწილეობას უზენაესი სამთავრობო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, ასევე ფართო საზოგადოებრიობაზე, რაც უსათუოდ გამოიღებს თავის კეთილ ნაყოფს ჩვენთვის სასურველი, საერთაშორისო აზრის შექმნაში. როგორიც არ უნდა იყოს ოფიციალური თვალსაზრისი, ის ბოლოს და ბოლოს იძულებულია გაითვალისწინოს საზოგადოებრივი აზრი. დრო კი ამ შემთხვევაში ჩვენს სასარგებლოდ მოქმედებს. გორბაჩოვის რეფორმების რეალური წარუმატებლობა სულ უფრო და უფრო ასუსტებს ცენტრს და აძლიერებს რესპუბლიკებს. მთელი მსოფლიოსთვის დღითი დღე ცხადი ხდება, რომ საბჭოთა კავშირი ვერ დაძლევს იმ ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისს, რომელშიც მოექცა. ამიტომ სულ უფრო მეტად იხრება ინტერესების სფერო რესპუბლიკებისკენ და ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ საქართველოს გამორჩეული ადგილი უჭირავს, ჩვენი იქ ყოფნის მანძილზე არ ყოფილა არც ერთი დღე, რომ პრესაში და ტელევიზიაში არ გაშუქებულიყო რაიმე პოლიტიკური ინფორმაცია საქართველოს შესახებ.

პრესაში დიდი ყურადღება ეთმობოდა აგრეთვე ბ. ელცინის ვიზიტს. ჩემი შეხვედრა ვერ მოხერხდა მასთან, ორივე მხარის გადატვირთული პროგრამების გამო. ერთადერთხელ სტრასბურგში, ევროპარლამენტში ყოფნის დროს თითქოს გაჩნდა ამის შესაძლებლობა. მაგრამ მას იმდენად ცუდად შეხვდნენ, რომ ჩემთვის, ემოციური თუ ადამიანური თვალსაზრისით, გაძნელდა შეხვედრა მისთვის, ალბათ, მეტად უსიამოვნო წუთებში. გორბაჩოვთან დაკავშირებული კამათის დროს სოციალისტებმა ბ. ელცინს კარზე მიუთითეს — თუ არ მოგწონთ ჩვენი პოზიცია, წაბრძანდით აქედანო. მთელი ევროპის ტელეკომპანიებმა რამდენჯერმე უჩვენეს ეს ეპიზოდი. ერთ-ერთ ინტერვიუში იმის აღნიშვნაც მომიწია, რომ ადამიანთან, რომელიც ამავე დროს 150-მილიონიან ერს წარმოადგენს ოფიციალურად, ასე ლაპარაკი არც დემოკრატიის გამოვლინებაა, არც პოლიტიკური პოზიციის და არც დიპლომატიის; ეს არის უბრალოდ უზრდელობა და არავითარი გამართლება ამ ფაქტს არ შეიძლება ჰქონდეს.

რაც შეეხება პროგრამა „ვრემიას“ გამომწვევ განცხადებას იმის შესახებ, რომ მე არ მიმიღო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიუმამ, ამის შესახებ ერთის თქმა შემიძლია, ასევე არ მიმიღო ბუშმა, ბეიკერმა ან რეიგანმა. საქმე ისაა, რომ არც გვიცდია ოფიციალურ წრეებთან ასეთი მაღალი დონის შეხვედრის მოწყობა. ასეთ კონტაქტებს საგანგებო შემზადება სჭირდება. ეს ოფიციალური ურთიერთობებია და გარკვეული დრო, ხელსაყრელი პირობები, ორივე მხარის კონკრეტული ინტერესების თანხვედრაა საჭირო. არ შეიძლებოდა დამოუკიდებლობის გამოცხადების მეორე დღესვე ამის პრეტენზია მქონოდა. გახსოვთ, ალბათ, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წელს გამოცხადდა და იგი მხოლოდ 1920 წელს სცნეს ევროპის უმეტესმა ქვეყნებმა. თანაც მაშინ გაცილებით უფრო ხელსაყრელი პირობები იყო ამისთვის. საქართველო რეალურად დამოუკიდებელი ქვეყანა იყო, ყავდა თავისი ჯარი, ჰქონდა უკვე აწყობილი დიპლომატიური ურთიერთობები ევროპულ ქვეყნებთან, ხოლო რუსეთი თავისი შიდა პოლიტიკის მოწყობით იყო დაინტერესებული და გარეგნულად, თითქოს არც ერეოდა საქართველოს სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში.

ვიმედოვნებ, ჩვენმა ამჟამინდელმა ვიზიტმა თავისი წვლილი შეიტანა სამომავლოდ უმაღლესი დონის შეხვედრის სათანადოდ ჩატარების საქმეში.

ისე კი უნდა გავიმეორო, რომ საინფორმაციო ბლოკადა გარღვეულია. საქართველო ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ამას მრავალი ფაქტორი უწყობს ხელს. როგორც ჩანს, უშედეგოდ არ ჩაუვლია საქართველოსთვის 25 საუკუნოვან სახელმწიფოებრივ გამოცდილებას და ჩვენ გენეტიკურად ჩამოგვიყალიბდა [illegible] წინააღმდეგობის მიუხედავად მაქსიმალურად მომზადებულად [illegible] მოთ პოლიტიკური ბრძოლები. ხუმრობით მეკითხებოდნენ კიდეც — რა ხართ ასეთები ქართველები, იმპერიას რომ არყევთო. კარიკატურა იყო გაზეთ „ფიგაროში“: გორბაჩოვს და რაისა მაქსიმოვნას პატარა იაპონელები მოყვებიან და კურილიის კუნძულებს სთხოვენ, მოგვეცითო, — კურილიის კუნძულებს არა და ელცინი და საქართველო მომაცილეთო — პასუხობს გორბაჩოვი.

არ შემიძლია მადლიერებით არ მოვიხსენიო ის ადამიანები, რომლებმაც თავისი დიდი წვლილი შეიტანეს, რათა ჩვენი ვიზიტი მაქსიმალურად მომგებიანი ყოფილიყო საქართველოსთვის. ესენი არიან ბატონი ოთარ ზურაბიშვილი, ჩვენი თანამემამულე, იგი არის შემქმნელი ქართულ-ფრანგული ასოციაციისა, რომელსაც საქართველოს მთავრობამ მიანიჭა რწმუნება საფრანგეთში წარმოადგენდეს ჩვენს ინტერესებს. ბატონი ოთარი უშუალოდ გეგმავდა დროს, ადგილს, ათანხმებდა ვიზიტებს, არ გვცილდებოდა გვერდიდან, თავდაუზოგავად მუშაობდა, რათა ყოველმხრივ მაქსიმალური რეზულტატებისთვის მიგვეღწია.

ასევე დიდი როლი ითამაშა ბატონმა კლოდ კემულარიამ, რომელმაც სპეციალურად ჩვენთან შესახვედრად ინგლისიდან ჩამოიყვანა ორი დიდი ბანკის წარმომადგენელი, რომლებთანაც ასევე მიღწეულ იქნა შეთანხმება ექსპერტთა ერთობლივი ჯგუფების შექმნის შესახებ.

საგანგებოდ მინდა გამოვყო შეხვედრა ქალბატონ ტერეზა ნასყიდაშვილთან. ქალბატონი ტერეზა წარმოშობით ოსია, ნასყიდაშვილი მეუღლის გვარი გახლავთ. იგი ოსურ-ფრანგული და ოსურ-ინგლისური საზოგადოების პრეზიდენტია. იმდენად წარმატებულად ჩაიარა მასთან ჩვენმა პოლიტიკურმა კამათმა, რომ ქალბატონი ტერეზას თანმხლებმა, ამ საზოგადოების წევრმა; ფრანგმა ქალბატონმა ჩვენი თანდასწრებით პირდაპირ უთხრა, თუ სათქმელი არაფერი გქონდა, რისთვის მოგყავდითო. ვიმედოვნებ, რომ სულ მალე ქალბატონის პოზიციას მთელი დასავლეთი გაიზიარებს: ყოველ შემთხვევაში პირველი ნაბიჯები გადადგმულია და სამომავლოდ უფრო მეტს ველით. ღმერთის შეწევნით ყველაფერი კარგად იქნება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო უცხოეთის პრესის ფურცლებზე

„მომიტინგეთა ერთი ნაწილი ქუჩის სავალ ნაწილზე გადმოსულა და საგრძნობლად აფერხებს ტრანსპორტის მოძრაობას. შორიახლოს ათიოდე მილიციელი მოჩანს. სიგარეტს აბოლებენ, წყნარად მასლაათობენ. ეტყობა მსგავსი რაღაცეები აღარ აკვირვებთ... ერთ-ორ საათში მიტინგი იშლება მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, რომ ახლახან ჩავლილი ვნებათა ღელვა ისეთივე უაზრო და აბსურდულია, როგორც ის უთანხმოება, რაზედაც ასე გახელებით და აგრესიულად მსჯელობდა ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი ორატორი. შესაძლოა სამხრეთული მოჭარბებული ტემპერამენტის გამოც.

1921 წლის დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდგომ პირველ, ანტისაბჭოურ, ნამდვილად ეროვნულ მთავრობას ხსენებული ორატორი ბრალად უყენებდა „კრემლის სტრუქტურების“ უსიტყვოდ გადმოღებას და უპრინციპობას „ოკუპანტებთან“ დამოკიდებულებაში — „ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ საქართველო სხვა არაფერია, თუ არა მოსკოვის კოლონია“ — ამტკიცებდა იგი.

„მაღალი, 51 წლისა, ევროპული ენების მცოდნე ფილოლოგი და მწერალი პირველად 17 წლისა დააპატიმრეს პატრიოტული საქმიანობისათვის.

70-იან წლებში, როდესაც რესპუბლიკას მართავდა ადგილობრივი კომპარტიის პირველი მდივანი, სახელად ედუარდ შევარდნაძე, მას კვლავ მოუწია სატუსაღოში ყოფნამ, უკვე ორი წლით.

როგორც დისიდენტი და ადამიანის უფლებათა დამცველი ის გადაჭრით ამხელდა კომუნისტურ რეჟიმს, ეწეოდა აქტიურ ანტისაბჭოურ საქმიანობას, გამოსცემდა არალეგალურ ჟურნალებს. მისი ინიციატივით დაარსდა საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი. ასეთი ბიოგრაფიის ფონზე ეპითეტი „კრემლის აგენტი“ აბსურდად აღიქმება. — ეს სისულელეა — ლაკონურად და დინჯად პასუხობს ადრესატი ამგვარ ბრალდებებზე.

ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში მან განაცხადა: — კრემლის ზღურბლს გადავაბიჯებ მხოლოდ როგორც თავისუფალი საქართველოს მოქალაქე“.

„პარლამენტმა მიიღო მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები. გააუქმა 1921 წლიდან მიღებული ყველა საბჭოური სამართლებრივი აქტი, გამოაცხადა საქართველოს რესპუბლიკის შექმნა, დააწესა გარდამავალი პერიოდი ფაქტობრივი დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, გააუქმა საბჭოთა არმიაში იძულებითი სამსახური, აღადგინა ძველი სახელმწიფოებრივი სიმბოლოები: ღერბი — გველეშაპის შემმუსვრელი წმინდა გიორგის გამოსახულებითა და ეროვნული სამფეროვანი შავ-თეთრ-შვინდისფერი დროშა“.

„ხანშიშესული, მოინტელიგენტო, თავგადასავლების მოყვარული ჯაბა იოსელიანი 65 წლისაა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. მან თავის ნაწერებში ხოტბა შეასხა ბანდიტიზმს, ხოლო ორმოცდაათიან წლებში თვით მიიღო მონაწილეობა ერთ-ერთ ყაჩაღურ თავდასხმაში, რომლის დროსაც მისმა ამფსონებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ადამიანი.

ამჟამად ჯაბა იოსელიანი და მისი 36 მომხრე პატიმრობაში იმყოფება კონკრეტული სამართალდარღვევებისათვის.

ის იყო უკანონო გასამხედროებული ფორმირების მეთაური, რომლის წევრთა რაოდენობა, მისივე სიტყვებით, 5000 კაცს აღწევდა. ფორმირების სახელწოდებაა „საქართველოს მხედრიონი“. მან „სახელი“ გაითქვა მილიციის რაიონულ განყოფილებებზე, არმიის ქვედანაყოფებსა და მმართველობითი ორგანოების შენობებზე თავდასხმებით.

იოსელიანის ლაშქარი სავსებით ოფიციალურად ითვლებოდა ოპოზიციის „მუშტად“. სწორედ ამიტომ მოითხოვენ ოპოზიციონერები მთელი ქვეყნის გასაგონად „თავისუფლებისათვის“ მებრძოლი იოსელიანისა და მისი ყონაღების განთავისუფლებას“.

„ნიშანდობლივი ფაქტია, რომ ოპოზიციურ ძალებს, კერძოდ ე. წ. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას თავის რეზიდენციად ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შთამბეჭდავი შენობა ამოურჩევია, რომლის ფასადსაც ამშვენებს მარქსის, ენგელსის, ლენინის და... სტალინის ბარელიეფები.

და მაინც, ახალი დროების მომასწავებელია ის გვარიანი თეთრსაღებავიანი ლაქა, არქიცენტრალისტი კომუნისტის, წარმოშობით ქართველი, სტალინის ქვაში გამოკვეთილ ქანდაკებას რომ აცხია შენობის ფასადზე“.

**მანფრედ როვოლდი, „ველტი“, 2 აპრილი (გერმანია).**

„საქართველოს მოსახლეობამ, უფრო აშკარად ვიდრე ბალტიისპირეთმა, დაუჭირა მხარი თავის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და ამით საბჭოთა კავშირიდან გამოყოფას. როგორც ბალტიისპირეთში, აქაც არაქართული მოსახლეობის (რომელიც 30%-ს შეადგენს) უმრავლესობამ ხმა მისცა რეფერენდუმში საქართველოს დამოუკიდებლობას. ეს ფაქტი, იმასთან ერთად, რომ რეფერენდუმში მონაწილე მოსახლეობის 90,5 პროცენტიდან დადებითად გამოეხმაურა 98,9 პროცენტი, იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, ვინაიდან პოლიტიკური ბრძოლის პროცესში საქართველოს ეროვნულ მთავრობას მუდმივად მიაწერდნენ ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაციას. ეს უსაფუძვლო საყვედურია, რადგან საქართველოში უხსოვარი დროიდან ერთმანეთის გვერდით ცხოვრობს 80 სხვადასხვა ეროვნების ხალხი“.

„მოსკოვში ლაპარაკობენ ეთნიკური კონფლიქტის შესახებ. თბილისში მოსკოვს ადანაშაულებენ ამ კონფლიქტის გაღვივებაში საქართველოში მდგომარეობის დესტაბილიზაციის მიზნით, რათა საფრთხე დაემუქროს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას და შეექმნას მას წინააღმდეგობანი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე. ოსი ნაციონალისტები, რომლებსაც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დარჩენა სურთ, დაჟინებით მოუწოდებენ პრეზიდენტ გორბაჩოვს ეს რეგიონი დაექვემდებაროს უშუალოდ მოსკოვის კონტროლს, საკავშირო პარლამენტი სისხლის ღვრის შეჩერების ერთადერთ გამოსავალს მთელ სამხრეთ ოსეთში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაში ხედავს.

საქართველოს პრეზიდენტი გამსახურდია საკმაოდ რეალისტია, რათა არ იცოდეს, რომ ისეთი წინააღმდეგობები, როგორიცაა ოსეთის საკითხი, საბჭოთა ჯარების იქ ყოფნა და რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებზე შეზღუდული მმართველობის უფლება უნდა მოგვარებულ იქნას, რათა გამოცხადებული დამოუკიდებლობა სინამდვილედ იქცეს“.

**მანფრედ როვოლდი, „ველტი“, 8 აპრილი (გერმანია).**

„ის, რაც ხდება სამხრეთ ოსეთში, განპირობებულია იმით, რომ აქაურ ოსებს არ სურთ იყვნენ დამოუკიდებლები ქართველ ერთან ერთად“.

**პოლ ბონეტი, „პაისი“, 2 აპრილი (ესპანეთი)**

„საქართველოს მოსახლეობის 99 პროცენტი მხარს უჭერს თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის პროცესს“.

„აფხაზეთშიც დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი მოსახლეობის 62 პროცენტმა და აქაც გაიმარჯვა გამსახურდიას იდეებმა“.

„ამ რეგიონს (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა — რედ). სურს გამოეყოს საქართველოს და შეუერთდეს ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, რომელიც რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაშია“.

**ანტონიო პალმერი, „მუნდო“, 2 აპრილი (ესპანეთი).**

„99 პროცენტზე მეტმა ქართველმა (99,06) ხმა მისცა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, ბოლო შედეგების მიხედვით ამომრჩეველთა მხოლოდ 0,5 პროცენტმა უპასუხა უარყოფითად. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბ-მა ზ. გამსახურდიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რეფერენდუმი ჩატარდა საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენისათვის 1918 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. ბ-მა გამსახურდიამ აღნიშნა, რომ ის არასოდეს წავა გორბაჩოვთან მოლაპარაკებაზე. მას სურს, რომ საქართველო გახდეს გაეროს წევრი და ჰქონდეს დიპლომატიური ურთიერთობები აშშ-სთან და სხვა დასავლეთის ქვეყნებთან. კარგად იყო ორგანიზებული საბჭოთა ჯარის მიერ გამოყენებული იარაღის ჩვენება.

შეკითხვაზე, თუ რით იყო განპირობებული რეფერენდუმში ქართველი ხალხის მონაწილეობის მაღალი მაჩვენებელი და რეფერენდუმზე დასმულ კითხვაზე დადებითი პასუხები, ბ-მა ზ. გამსახურდიამ განაცხადა, რომ ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნება იყო დამოუკიდებლობის აღდგენა და სსრკ-დან გამოსვლა.

ეროვნულმა კონგრესმა (რომელშიც შედიან საქართველოს დამოუკიდებლობის პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, მხედრიონი და ი. ჭავჭავაძის საზოგადოება) გამოხატა უნდობლობა რეფერენდუმის შედეგების გამო. მხედრიონის და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრებმა ბ-ნი ზ. გამსახურდია დაახასიათეს როგორც დიქტატორი, რომელსაც აქვს მონოპოლია ტელევიზიაზე და პრესაზე, თავისი სურვილის მიხედვით აგვარებს საქმეებს და ვერ იტანს ვერავითარ ოპოზიციას. ამბობენ, რომ რეფერენდუმის კამპანიის დროს ის ემუქრებოდა იმათ, ვინც დადებითად არ უპასუხებდა შეკითხვას.

მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ყველა ქართველი ერთსულოვნად გამოხატავს დამოუკიდებლობის სულისკვეთებას. საპარლამენტო ოპოზიციამ რომელიც ძირითადად შედგება კომპარტიისაგან, და პარლამენტგარეშე ოპოზიციამ დადებითად უპასუხეს რეფერენდუმზე დასმულ კითხვას, თუმცა ისინი არ იყვნენ რეფერენდუმის ჩატარების მომხრენი.

მოსახლეობის 69 პროცენტი ქართველებია, დანარჩენი სომხები, რუსები, აზერბაიჯანელები ოსები. ოფიციალური წყაროების თანახმად, ოსების და აზერბაიჯანელების უმეტესობამ დადებითად უპასუხა საქართველოს რეფერენდუმზე დასმულ შეკითხვას, რადგანაც ისინიც იბრძვიან თავიანთ მიწაზე დამოუკიდებლობისათვის“.

„მოსწონს გორბაჩოვს ეს თუ არა, იმ ფაქტის წინაშე დგება, რომ საქართველოს მოსახლეობა მხარს უჭერს დამოუკიდებლობას. ეს არ ნიშნავს, რომ გამსახურდიას აქვს აბსოლუტური მხარდაჭერა, კერძოდ ოპოზიცია მოქმედებს. სასტუმრო „მეტეხში“ პრესკონფერენციის დროს ეროვნული კონგრესის წევრებმა სასტუმროს წინ მოაწყვეს პიკეტი, რომლის მიზანი იყო, გაეგო დასავლეთს, რომ საქართველოში კიდევ არიან დემოკრატიული ძალები“.

**მირიამ ხოზა, „ვანგარდია“, 2 აპრილი, (ესპანეთი)**

„დამოუკიდებლობის დეკლარაცია რესპუბლიკას დაუბრუნებს იმ დამოუკიდებლობას, რომელიც საქართველოში 1918-21 წლებში იყო და რომელიც წართმეულ იქნა მოსკოვიდან სოციალისტური მთავრობის მიერ გამოგზავნილი წითელი არმიის მიერ“.

„გამსახურდიას მთავრობა გასული სამი თვის განმავლობაში სამოქალაქო ომის პირისპირ აღმოჩნდა სამხრეთ ოსეთის ოლქის გამო, რომლის მოსახლეობას საქართველოს რესპუბლიკიდან გამოყოფა და ჩრდილოეთში რუსეთის ფედერაციასთან შეერთება უნდა“.

**„აშ-შარაკ ალ-ავსატ“, 10 აპრილი (არაბეთი)**

„31 მარტი, კვირადღე საქართველოს პრეზიდენტისათვის სამგზის დალოცვილი იყო.

ეს იყო დღე ბზობის, დღე რეფერენდუმის და დღე მისი 52 წლისთავისა.

გასაკვირი არაა, რომ დილა ზეიად გამსახურდიასა და მისი ოჯახისთვის ეკლესიაში მისვლით დაიწყო. ეს ეკლესია სულ ახლახან ამოქმედდა. ძველი რეჟიმის დროს აქ სპორტული დარბაზი იყო მოწყობილი, ისმის გალობა. მთელ საქართველოში საზეიმოდ აღინიშნება ბზობის დღესასწაული.

საქართველო გაქრისტიანდა მე-4 საუკუნეში, რუსეთზე 600 წლით ადრე. ქართველები, არცთუ უსაფუძვლოდ, ამაყობენ ამით.

შემდეგ პრეზიდენტი ასრულებს თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას, საქართველოს დამოუკიდებლობას აძლევს ხმას სკოლის შენობაში მოწყობილ უბანში. აქ შეკრებილ ამომრჩეველთა ჯგუფი, აპლოდისმენტებით და საქართველოს შინდისფერი დროშის ფრიალით ეგებება, თავის პრეზიდენტს“.

„საქართველოში არც ერთი ქართველი არ წავა დამოუკიდებლობის წინააღმდეგ: „დამოუკიდებელი საქართველო, ისევე როგორც საფრანგეთის რესპუბლიკა, უნდა იყოს ერთიანი და განუყოფელი“. ყველა სოციალურ წრეში გვიხსნიან, რომ ეთნიკური კონფლიქტები გამოწვეულია კრემლის უშუალო ჩარევით. ყოველთვის ასე იყო. ეს მხოლოდ კომუნისტური რეჟიმის ბრალი არ არის. რუსულ პოლიტიკას საქართველოში ყოველთვის პროვოკაციული ხასიათი ჰქონდა.

**„მონდი“, 2 აპრილი (საფრანგეთი)**

„გამსახურდიას მმართველობის ხუთმა თვემ, დამოუკიდებლობის გზაზე გადადგმულმა პირველმა ნაბიჯებმა მხოლოდ იმედგაცრუება ხომ არ მოიტანა თან? უეჭველია, არა, ვისაც არ უნდა ჰკითხოთ პრეზიდენტს, ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორს, დეპუტატს თუ მძღოლს, რომელიც სიამოვნებით გვთანხმდება წაყვანაზე არა ფულის, არამედ იმის გამო, რომ უცხოელს აჩვენოს ქართული სტუმართმოყვარეობა, ერთი და იგივე პასუხს მიიღებთ: „აქ ხომ კომუნისტები აღარ არიან!“

**„მონდი“, 2 აპრილი (საფრანგეთი)**

„საოცარია, წინასწარი შედეგებით ამომრჩეველთა 99,37%-მა „დიახ“ უპასუხა შეკითხვაზე: „გსურთ თუ არა, რომ აღსდგეს საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?“ ძველი ეპოქის არჩევნები გვახსენდება.

ამგვარი შედეგები ნატებითი „საბუთი“ იქნება რესპუბლიკების დამოუკიდებლობის მომხრეთა პოლიტიკაში“.

„შაბათიდან მოყოლებული კაგებეს კონტრდაზვერვის გენერალი გენადი ტიტოვი, ამგვარად ახასიათებდა სიტუაციას: ზოგიერთ რესპუბლიკაში „ხელისუფლებაში მოვიდნენ დამოუკიდებლობის იდეის მომხრენი, რომელთა მიზანია ნაციონალურ-ტოტალიტარული რეჟიმის დამყარება“. მოსკოვისათვის სულ ერთია, რა გვარისანი არიან ისინი — გამსახურდია თუ ლანდსბერგისი“.

„ასეა თუ ისე რეფერენდუმის შედეგები ეჭვს არ იწვევს. ეს იქნება ოფიციალური დოკუმენტი საქართველოს ეროვნული პარლამენტისათვის მოსკოვთან მოლაპარაკების დასაწყებად“.

**პიერ ბოხევი, „ფიგარო“, 2 აპრილი (საფრანგეთი)**

„საქართველოს პრეზიდენტი გამსახურდია კვირა საღამოს დაემუქრა მოსკოვს, რომ მოაწყობს საყოველთაო დაუმორჩილებლობას, თუ არ გაიყვანენ ჯარებს სამხრეთ ოსეთიდან, სადაც შეტაკებებმა ყოველდღიური ხასიათი მიიღო.

სადილი ოს „ბოევიკებთან“ ერთად. ქამარში მაკაროვი, ხელში ღვინიანი ჰიქა, კავკასიური სადღეგრძელოები. ტიპიური სიტუაცია. ისმის სროლის ხმა — „ქართველები“, გვიხსნიან ისინი.

ბევრი ახსნა-განმარტება ბევრი წინააღმდეგობრივი აზრი. ოთხი სოფელი მოწყვეტილია. წინათ ოსები და ქართველები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. ახლა ომია.

შაბათს სოფელ თამარაშენს შემოუტიეს ოსებმა, ორი ქართველი მოკლეს, სამი დაჭრილია. „საბჭოთა არმია ჩაერიოს და ჩვენ ჩავაბარებთ იარაღს“ — გვეუბნებიან ოსები — „ჩვენ მათ ვენდობით“.

ოსები ოცნებობენ გაერთიანებულ ოსეთზე. ქართველები კი არ დაუშვებენ თავიანთი ტერიტორიის დაყოფას“.

**„ლე კოტიდიენ დე პარი“, 9 აპრილი (საფრანგეთი)**

„გუშინ საქართველო თავისუფლების გზას დაადგა. საგანგებო სესიაზე შეკრებილმა ეროვნულმა პარლამენტმა ერთხმად გამოაცხადა დამოუკიდებლობა. (მოსკოვში ფედერაციის საბჭო ისე დაიშალა, რომ ვერ მიიღეს გადაწყვეტილება, რაც ილთხოვ, რათა გორბაჩოვმა თავი დააღწიოს შექმნილ კრიზისულ მდგომარეობას).

დილით, პირდაპირ ეთერში გადაიცა ტელევიზიით საქართველოს პარლამენტის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. 250 დეპუტატმა ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება. პარლამენტის შენობასთან, მიუხედავად იმისა, რომ წვიმდა, უამრავი ხალხი მოგროვდა.

ხალხი მღეროდა „დიდებას“, სკანდირებდა „საქართველო“, მხიარულებამ დიდხანს გასტანა.

შაბათს ოსეთში ჯარის ახალი ნაწილების შეყვანის გამო გამსახურდიამ გორბაჩოვს მკვეთრი ტელეგრამა გაუგზავნა: „ჩვენ განვიხილავთ თქვენს შემოტევას, როგორც ომის გამოცხადებას“.

**„ლე კოტიდიენ დე პარი“, 10 აპრილი (საფრანგეთი)**

საქართველო პარიზში

ოთხშაბათს, სენატში სახელმწიფო მოღვაწის, გაეროში საფრანგეთის ყოფილი წარმომადგენლის კლოდ დე კემულარიას საპატივცემულოდ გამართული მიღების დროს, კლოდ დე კემულარიამ, წარმოშობით ქართველმა, დააყენა საქართველოს საკითხი უმაღლეს ასამბლეაში საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ჟან ლეკანუეს წინაშე.

„თქვენ უნდა მიიღოთ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ხოშტარია, რომელიც პარიზში იმყოფება“. ლეკანუემ თანხმობა განაცხადა ხოშტარიასთან შეხვედრაზე. კლოდ კემულარიამ იგი დაარწმუნა, რომ საბჭოთა წყობის „ურჩი“ რესპუბლიკები ქმნიან საერთო ფრონტს მიხეილ გორბაჩოვის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ“.

**„ფიგარო“, 12 აპრილი, (საფრანგეთი).**

**მოამზადა საქართველოს საგარეო სამინისტროს პრესცენტრმა სპეციალურად „თავისუფალი საქართველოსათვის“.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ისტორიით დაინტერესებულ უცხოელთათვის, და არა მხოლოდ უცხოელთათვის

11. ე. წ. პერესტროიკა, რომელიც 1985 წელს გამოაცხადა მ. გორბაჩოვმა მიზნად ისახავს როგორმე გააჯანსაღოს საბჭოთა კავშირის დანგრეული ეკონომიკა, მაგრამ ისე, რომ მოხერხდეს არსებული წყობილების შენარჩუნება. დემოკრატია და გლასნოსტი, რომლის დეკლარირება მოხდა პერესტროიკასთან ერთად, ჩაკვდა, როგორც კი პერესტროიკით გამოღვიძებული პროგრესული ძალები შეეცადა შეჰხებოდა საბჭოთა კავშირის მმართველი პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატისა და სამხედრო-საწარმოო კომპლექსის ძირეულ ინტერესებსა და უფლებებს, როგორც კი საბჭოთა კავშირის საპატიმროში გამომწყვდეულმა ერებმა მოითხოვეს და ნაწილობრივ მოიპოვეს კიდეც დამოუკიდებლობა. გორბაჩოვი და კომპანია ყველაფერს დათმობენ ხელისუფლების გარდა და დათმეს კიდეც: გამოიყვანეს ჯარები ავღანეთიდან, დათანხმდნენ გერმანიის გაერთიანებას, გამოჰყავთ ჯარები უნგრეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, გერმანიიდან. ხელისუფლებას კი ვერ შეინარჩუნებენ, თუ არ შეინარჩუნეს საბჭოთა კავშირი — XX საუკუნის დასასრულის ეს ანაქრონიზმი: უკანასკნელი იმპერია და ტოტალიტარული რეჟიმი.

ამიტომ არის, რომ ასეთი გამწარებით იბრძვის საბჭოთა ცენტრი რესპუბლიკების ე. წ. სეპარატიზმის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში, არ ერიდება რა არავითარ ხერხს, აამოქმედა ჯერ კიდევ 1922 წელს, საბჭოთა კავშირის შექმნის მომენტში ჩაწყობილი ეროვნული შუღლის ნაღმები.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ბოლო წლებში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში გაჩაღებული ეროვნებათაშორისი კონფლიქტების ორგანიზატორი და პროვოკატორი არის ე. წ. ცენტრი — კრემლი.

კრემლის პროვოცირებულია სომეხთა და აზერბაიჯანელთა ომი ყარაბაღში, სისხლიანი აქცია ფერღანაში, გაგაუზებისა და რუსების ბრძოლა მოლდაველთა წინააღმდეგ. კრემლის შექმნილია ინტერფრონტები ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ავადსახსენებელი ეროვნული ხსნის კომიტეტები ლიტვასა და ლენინგრადში და ა. შ.

თავისივე ინსპირირებული და განხორციელებული ეროვნებათაშორისი შეტაკებები საბაბს აძლევს გორბაჩოვს და მის კომანდას უშუალოდ ჩაერიონ სამხედრო ძალით რესპუბლიკების შინაგან საქმეებში და ანგარიში გაუსწორონ მათთვის არასასურველ და პოტენციურად საშიშ ძალებს. ასე მოხდა 1990 წელს აზერბაიჯანსა და მოლდოვაში, 1991 წელს კი ლიტვასა და ლატვიაში. ანალოგიური სცენარით ცდილობს ცენტრი წარმართოს მოვლენები საქართველოშიც.

აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების განთავისუფლება საბჭოთა დიქტატისაგან, გერმანიის გაერთიანებაზე თანხმობა, ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა, უარის თქმა ერაყისათვის სამხედრო დახმარების გაწევაზე — ეს ის დათმობებია, რომლის საფასურადაც გორბაჩოვი მოითხოვს დასავლეთისაგან, უპირველეს ყოვლისა, შეერთებული შტატებისაგან, ჩაურევლობას მის „შინაგან" საქმეებში.

ავღანეთიდან და ევროპიდან გამოთავისუფლებულ ჯარებს კრემლი იყენებს საბჭოთა კავშირის ყველა დემოკრატიული ძალის წინააღმდეგ საბრძოლველად, განსაკუთრებით კი იმ რესპუბლიკების წინააღმდეგ, რომლებიც მიისწრაფვიან დამოუკიდებლობისაკენ.

ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატს საკუთარი ქვეყნის ხალხების სისხლით აქვს ხელები გასვრილი.

12. საქართველო ყოველთვის იყო და დღესაც რჩება საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლებისათვის ყველაზე უხერხულ და საძულველ „ნაციონალურ რესპუბლიკად". მით უმეტეს, რომ საქართველოს ახლაც ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს ქვეყნის ჭეშმარიტი გარდაქმნისა და დემოკრატიზაციისათვის ბრძოლაში.

ის მცირეოდენი დემოკრატიზაცია, რაც მოჰყვა 1985 წელს პერესტროიკის დეკლარაციას, საკმარისი გამოდგა, რომ ახალი აღმავლობა დაწყებულიყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელიც მთლიანად არც ჩამკვდარა, მიუხედავად 70-წლიანი სისხლიანი რეპრესიებისა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში მართლაც საერთო-ეროვნულ საქმედ იქცა და არნახულ მასშტაბებს მიაღწია 1988 წლის ბოლოსა და 1989 წლის დასაწყისში. სააშკარაოზე გამოვიდა ადრე არალეგალურად მოქმედი პოლიტიკური ჯგუფები და პარტიები, შეიქმნა ახალი პარტიები. დაიწყო მასობრივი სახალხო გამოსვლები, მიტინგები და დემონსტრაციები საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნებით. და კრემლმაც არ დააყოვნა რეაგირება: 1989 წლის 9 აპრილს ღამით არმიის სადესანტო ნაწილებმა და სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო ძალებმა თბილისში დაარბიეს მშვიდობიანი მიტინგი — მოშიმშილეთა ორასკაციანი ჯგუფი და მათ დასაცავად თავშეყრილი რამდენიმე ათასი უიარაღო გულშემატკივარი.

დარბევა უმაგალითო სისასტიკით განხორციელდა. გამოიყენეს სამხედრო ტექნიკა, ხელკეტები, ალესილი ბარები, ცეცხლსასროლი იარაღი, მომწამვლელი გაზები. შედეგად: 19 მოკლული, რამდენიმე ასეული დაჭრილი და ოთხიათასამდე გაზით მოწამლული. სამხედრო ხელისუფლებამ არ გაამჟღავნა მომწამვლელი გაზის სახეობა და რამდენიმე ასეული მოწამლული დღესაც უმძიმეს მდგომარეობაშია, ბევრი გარდაიცვალა.

ამ სისხლიანმა აქციამ კრემლისთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო: ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ამის შემდეგ საყოველთაო ხასიათი მიიღო საქართველოში.

კრემლმა ვერაფრით ვერ მოახერხა საქართველოში ინტერფრონტის ჩამოყალიბებაც: საქართველოში მცხოვრებ არაქართველთა, მათ შორის რუსების დიდი უმრავლესობა ქართველებს ამოუდგა მხარში. მათ იციან, რომ მიუხედავად თავისი ეროვნული კუთვნილებისა თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოში უკეთ იცხოვრებენ, ვიდრე ტოტალიტარულ და მშიერ საბჭოთა კავშირში[1].

იყო მცდელობა საქართველოს წინააღმდეგ აემხედრებინათ აზერბაიჯანელები (საქართველოში 300.000-ზე მეტი აზერბაიჯანელი ცხოვრობს), მაგრამ მათ თვითონვე ალაგმეს პროვოკატორები, ვერც სომხები გამოიყვანეს ქართველთა წინააღმდეგ (საქართველოში თითქმის 400 000 სომეხი ცხოვრობს), კიდევ მეტი: საქართველოში არც აზერბაიჯანელთა და სომეხთა შორის მომხდარა შეტაკება, მიუხედავად იმისა, რომ მეზობლად ყარაბაღის გამო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ნამდვილი ომია გაჩაღებული.

ერთადერთი, რაც მოახერხა ცენტრმა, ეს იყო აფხაზი ეროვნების შეიარაღებულ ექსტრემისტთა ქართველებზე თავდასხმა სოხუმში (1989 წლის ივლისი), რასაც ორმხრივი მსხვერპლი მოჰყვა, მაგრამ კონფლიქტი არ გაღრმავდა და მიუხედავად დაძაბული ვითარებისა, ეროვნებათა შორის ძმათა მკვლელ ომში არ გადაიზარდა. ეს უპირველეს ყოვლისა ქართველების დამსახურებაა: იმუშავა ქართველთა ეროვნულმა მეხსიერებამ და ერმა შეუნდო დანაშაული შეცდომილ ძმას.

13. 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს და მთელი საბჭოთა კავშირის ისტორიაში პირველად საქართველოში ჩატარდა მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები (არჩევნების დროს ზედამხედველებად მოწვეული იყვნენ წარმომადგენლები ევროპიდან). შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: კომუნისტურმა პარტიამ სრული კრახი განიცადა; პარლამენტში აბსოლუტური უმეტესობა — მანდატების ორ მესამედზე მეტი მოიპოვა ანტიკომუნისტური პარტიების ბლოკმა, რომლის ლიდერია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური, ყოფილი დისიდენტი, ადამიანთა უფლებების დამცველი, რამდენჯერმე ნაპატიმრევი — ამჟამად კი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — ზვიად გამსახურდია.

[1] ეს დადასტურდა 31 მარტის რეფერენდუმზეც, როდესაც საქართველოს არაქართველ მოსახლეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ საქართველოს დამოუკიდებლობას მისცა ხმა.

საქართველოს უზენაესმა საბჭომ დაიწყო საბჭოური ხელისუფლების სტრუქტურების მეთოდური დემონტაჟი საქართველოში, მიიღო მთელი რიგი დემოკრატიული კანონებისა და, რაც მთავარია, გამოაცხადა გარდამავალი პერიოდი საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. დაიწყო მეთოდური მუშაობა დამოუკიდებელი, დემოკრატიული, თავისუფალი საქართველოს ასაშენებლად.

14. კრემლმა არ დააყოვნა რეაგირება საქართველოში მომხდარ ძვრებზე. დაიწყო საქართველოს ეკონომიკური ბლოკადა. შეწყდა ან უკიდურესად შემცირდა საწვავის (გაზი, ნავთობპროდუქტები), ელექტროენერგიის, სურსათის შეწოდება.

ანტიქართულ ბრძოლაში აქტიურად ჩაება ცენტრალური პრესა და ტელევიზია — დეზინფორმაციის უზარმაზარი და გამოცდილი საბჭოური მანქანა, რომელიც ყოველნაირად ცდილობს სახელი გაუტეხოს საქართველოს ახალ ხელისუფლებას. დეზინფორმაციის უნებლიე (თუ ნებაყოფლობითი?) გამავრცელებელი გახდნენ დასავლეთის რადიო (ისეთი, როგორიც არის მაგალითად „თავისუფლება") და პრესაც, რომლებიც სარგებლობდნენ საბჭოთა საინფორმაციო (უფრო სწორად დეზინფორმაციის) წყაროებით. სამწუხაროდ ამგვარ დეზინფორმატორებად არც თუ იშვიათად გვევლინება ზოგიერთი ქართველი „მოღვაწეც". საბჭოური წყობილების ხანგრძლივი, ადამიანთა სულის გამრყვნელი ზემოქმედების პირდაპირი შედეგია ის, რომ დღევანდელ ქართველთა შორისაც არსებობს ძალები, რომლებიც, პირად ამბიციებსა თუ სხვა ქვენა გრძნობებს აყოლილნი, ცდილობენ დაუპირისპირდნენ საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას. მათი შექმნილია ე. წ. ეროვნული კონგრესი, რომელიც მათ შემქმნელებს საქართველოს უზენაესი საბჭოს პარალელურ ოპოზიციურ სტრუქტურად წარმოუდგენიათ. მაგრამ კონგრესი ნამდვილ, ჯანმრთელ ოპოზიციად ვერ იქცა. მას არ გააჩნია უზენაესი საბჭოსაგან განსხვავებული რაიმე გარკვეული კონცეფცია და მამოძრავებელი მიზანი. კონგრესი არც რაიმე სერიოზული მხარდაჭერით სარგებლობს საქართველოს მოსახლეობაში. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ კონგრესის თვით არსებობა და მისი ცალკეული ქმედებანი, ნებსით თუ უნებლიედ, თავისუფალი საქართველოს მტრების უპირველეს ყოვლისა, კრემლის წისქვილზე ასხამს წყალს.

15. დაბოლოს, კრემლმა საქართველოშიც გაათამაშა ეროვნებათშორისი კონფლიქტის ნაცადი კოზირი.

1990 წლის 9 დეკემბერს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, საქართველოს უზენაესი საბჭოს გაფრთხილების მიუხედავად, პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატის მუშაკების და მათ თანამდგომთა ჯგუფმა, კრემლის წაქეზებით ჩაატარა ვითომც არჩევნები (თუმცა ოლქის ქართულ მოსახლეობას და ოსთა მნიშვნელოვან ნაწილს არჩევნებში საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა) და გამოაცხადეს სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ასე რომ, ისედაც ყოველგვარი ადამიანური კანონების დარღვევით რუსული საოკუპაციო ხელისუფლების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ძალადობით შექმნილი ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ახლა ცხადდებოდა სუვერენულ რესპუბლიკად და ამდენად ირღვეოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

საქართველოს უზენაესი საბჭოს რეაგირება სწრაფი და ადეკვატური იყო: უზენაესმა საბჭომ საერთოდ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და ქალაქ ცხინვალსა და ჯავის რაიონში, რომლებიც ოსი სეპარატისტების საყრდენია, გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა. დაწესდა კომენდანტის საათი. წესრიგის დაცვა დაევალა საქართველოს მილიციას და საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო ნაწილებს. ეს [illegible] ნაბიჯი იყო, რადგანაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები და საბჭოთა არმიის ნაწილები ადრევე იდგა ცხინვალში და მათი იგნორირება საქართველოს უზენაესი საბჭოს მხრივ არარეალისტური იქნებოდა.

საკომენდანტო საათის გამოცხადებისთანავე ცხინვალში ავტომატებით შეიარაღებულმა პირებმა მოკლეს მილიციის ორი წარმომადგენელი და მძიმედ დაჭრეს მესამე. ამ თავდასხმის მეორე დღესვე ცხინვალში შევიდა საქართველოს მილიციის ნაწილები. მდგომარეობამ თითქოს დაიწყო განმუხტვა, მაგრამ 1991 წლის 7 იანვარს გამოვიდა პრეზიდენტ მ. გორბაჩოვის უმაგალითო „უკაზი", რომლის ძალითაც ცხინვალიდან დაუყოვნებლივ უნდა გამოსულიყო ქართული მილიცია და „ყველა სხვა შეიარაღებული ნაწილები, გარდა სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო ძალებისა". „უკაზი" საქართველოში აღქმულ იქნა, როგორც კრემლის უხეში ჩარევა რესპუბლიკის შინაგან საქმეებში და ცხადია, არც შესრულდა (ისევე, როგორც მ. გორბაჩოვის — „უკაზების" აბსოლუტური უმრავლესობა).

მაგრამ აღნიშნული „უკაზი" გახდა ერთგვარი სიგნალი ოსი ექსტრემისტებისათვის, რომელთაც დაიწყეს ნამდვილი საომარი მოქმედება: იყენებენ ავტომატურ იარაღს, ჯავშანტრანსპორტიორებს, ნაღმსატყორცნებს და რაკეტებსაც კი. ბრძოლაში ოს ექსტრემისტებს მხარს უჭერენ და აშკარად ეხმარებიან საბჭოთა ჯარებიც. იარაღსაც, ცხადია, ისინივე აწვდიან.

ბრძოლაში უკვე დაიღუპა ოცამდე ქართველი მილიციელი. ექსტრემისტები ესვრიან სასწრაფო დახმარების მანქანებსაც კი, აწიოკებენ და უმოწყალოდ ხოცავენ ქალაქ ცხინვალისა და ყორნისის (ყოფილი ზნაურის), გორის და ქარელის რაიონის ქართული სოფლების (ქურთა, კეხვი, თამარაშენი, აჩაბეთი, გუჯაბაური, ქსუისი, ერედვი, ნიქოზი, დვანი, ავნევი, ფრისი, ერგნეთი, არცევი და სხვ) მცხოვრებლებს, წვავენ ცხინვალში მოსახლე იმ ოსთა სახლებსაც, რომლებიც ქართველებთან ოდინდელი თანხმობით ცხოვრების მომხრენი არიან. თბილისში, გორში, მცხეთაში, ქარელში უკვე ათასობით ლტოლვილია ცხინვალიდან. კრემლმა ბოლომდე გამოააშკარავა თავისი სახე. ცენტრალური ტელევიზია უტიფრად ავრცელებს სიცრუეს საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ, უმალავს ქვეყანას, რომ საქართველოში მცხოვრებ ოსთა უმეტესობა ეროვნული ზავის მომხრეა. ზოგიერთმა ოსმა შიმშილობაც კი გამოაცხადა ოსი სეპარატისტების ალაგმვის მოთხოვნით. მართლაც, რა უნდა ქნას 100.000-ზე მეტმა ოსმა, რომელიც ყოფილი ოლქის გარეთ ცხოვრობს გაფანტულად ქართველების გარემოცვაში, რა უნდა ჰქნან ათასობით ქართულ-ოსურმა შერეულმა ოჯახებმა? (ოსები ქართველების გარდა ერთადერთი ერია კავკასიაში, რომელიც მართლმადიდებლურ ქრისტიანობას აღიარებს — ქრისტიანობა ოსეთში საქართველოდან გავრცელდა — და ალბათ ამის გამო ჩვეულებრივია შერეული ქართულ-ოსური ქორწინებები).

16. მაინც ვინ არიან ოსი ტერორისტები და ამ ინციდენტის ინსპირატორები? ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საბჭოური საკადრო პოლიტიკა რყვნის მცირე ერებს. ამავე დროს იგივე პოლიტიკა ქმნის კრემლის საყრდენ ძალას პერიფერიაში იმ პირთა სახით, რომლებიც დგანან საბჭოურ სამსახურში და სარგებლობენ ნომენკლატურისათვის განკუთვნილი პრივილეგიებით. მათ იციან, რომ ბოლო მოეღებათ დემოკრატიულ და თავისუფალ საზოგადოებაში, რომლის ასაშენებლად იღვწის საბჭოთა კავშირის ყველა დემოკრატიული ძალა, განურჩევლად მათ წევრთა ეროვნული კუთვნილებისა.

ამიტომაც კბილებით ებღაუჭებიან არსებულ წყობას და ცდილობენ საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას.

სამწუხაროდ, დამნაშავე ხელისუფალთა ამ ბანდას არც თუ მცირერიცხოვანი თანამოაზრეები ჰყავს — იმ პირთა სახით, რომელიც სარგებლობს მათი ნასუფრალით, მათვე მიჰყვება ძირითადად ნაციონალისტური ხასიათის ცრუ პროპაგანდით მოტყუებული და თავგზააბნეული ახალგაზრდობა, რომელთაც ჩასჩიჩინებენ, რომ ყველა ის ეკონომიკური და სხვა სახის სიძნელე, რომელიც ყველას აწუხებს საბჭოთა კავშირში, შედეგია რომელიღაც სხვა ერის (ამ შემთხვევაში ქართველების; რუსეთში ძირითადად ებრაელებს აბრალებენ) მოძალებისა.

ბრძოლა ძალიან მძიმეა, მაგრამ ქართველებს მიგვაჩნია, რომ საბოლოოდ სიმართლე და სიკეთე გაიმარჯვებს და ჩვენ თუ არა, ჩვენი შვილები მაინც იცხოვრებენ თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოში.

17. 1991 წლის 1 თებერვლიდან სსრკ სამხედრო მინისტრის იაზოვის და შინაგან საქმეთა მინისტრის პუგოს ერთობლივი ბრძანებით, ბოროტმოქმედებასთან ბრძოლის საბაბით, საბჭოთა კავშირის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ქალაქში უნდა დაწყებულიყო სამხედროებისა და მილიციის მუშაკთა ერთობლივი პატრულირება ავტომატური იარაღის და სამხედრო ტექნიკის გამოყენებით.

ეს სამხედრო გადატრიალების აშკარა ნიშანია.

საქართველოს უზენაესმა საბჭომ საქართველოს ტერიტორიაზე შეაჩერა ამ ბრძანებულების მოქმედება.

31 მარტს რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ყრილობამ, ხოლო 1 აპრილს სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ მიიღეს აშკარად ანტიქართული დადგენილებები, რომლითაც გორბაჩოვს თხოვენ შემოიღოს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთელ ტერიტორიაზე საპრეზიდენტო მმართველობა. 3 აპრილს დაიწყო ცხინვალში სსრკ შინაგანი ჯარების ახალი კონტინგენტის შეყვანა. ეს აქცია, რომელმაც უკვე შეიწირა რამდენიმე მშვიდობიანი ქართველის სიცოცხლე, აშკარად კრემლის პასუხია საქართველოში 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმისა, რომელმაც კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაანახვა მსოფლიოს, რომ საქართველოს ვერავითარი ძალა ვერ გადაახვევინებს დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი გზიდან.

ვნახოთ რას მოიტანს ხვალინდელი დღე.

18. გაოცებას იწვევს ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების გულგრილი, მეტი რომ არ ვთქვათ, დამოკიდებულება საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებისადმი. იმის ნაცვლად, რომ დასავლეთი ყოველმხრივ დაეხმაროს თავისუფლების დასაბრუნებლად მებრძოლ ლიტვას, ლატვიას, ესტონეთს, საქართველოს, ისინი მილიარდიან დახმარებას აძლევენ გორბაჩოვს, რომელიც ამ დახმარებას ისევ სამხედრო პოტენციალის გასაზრდელად და თავისუფლებისათვის მებრძოლ ერთა დასათრგუნად იყენებს.

ადრე თუ გვიან თავისუფლებას მაინც მივაღწევთ და დემოკრატია გაიმარჯვებს, საბჭოთა კავშირის — ამ ტოტალიტარული სიმახინჯის — ნანგრევებზე, მაგრამ ხვალ რა პირით უნდა შეხედოს ამერიკის და ევროპის ქებულმა დემოკრატიებმა საბჭოთა მონობიდან მათი დახმარების გარეშე თავდახსნილ ერებს? რატომ არ გახსოვთ ფაშისტური გერმანიის მაგალითი? ნუთუ ისტორია მართლაც იმისთვის არსებობს, რომ მისი გაკვეთილები არავინ გაითვალისწინოს?

**იულონ გაგოშიძე**

დასასრული.
დასაწყისი იხ. № 13.

**შენიშვნა:** წერილის პირველ ნაწილში გაიპარა შეცდომა, რისთვისაც მკითხველს ბოდიშს ვუხდით. მეორე სვეტის მეორე აბზაციდან ამოსაღებია სიტყვები „ერთა ლიგამ და" (ინგლისურ თარგმანში ეს სიტყვები არ არის).

გარდა ამისა, წერილის პირველი ნაწილის გამოქვეყნების შემდეგ რედაქციას შეკითხვით მიმართა რამდენიმე მკითხველმა 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან გადასახლებულთა თაობაზე.

გიპასუხებთ, რომ იმ დროს საქართველოდან გაასახლეს არა მარტო ქართველები, არამედ ეთნიკური თურქები, ქურთები და სხვები, მაგრამ წერილის ადრესატს მხოლოდ ქართველთა შესახებ ვაუწყე და სხვა ხალხებზე სიტყვა აღარ გამიგრძელებია.

დაბოლოს, წერილის დაწერისა და გაგზავნის შემდეგ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა საქართველოში, რაც, ბუნებრივია, ვერ აისახებოდა წერილში.

ი. გ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძოლა დემოკრატიის წინააღმდეგ დემოკრატიის სახით

**მკითხველებს** გვინდა შევახსენოთ გაზეთ „იზვესტიას" ერთი პუბლიკაცია, რომლის ავტორია ა. ივანოვ-სმოლენსკი. აღნიშნული მოზრდილი სტატიის დედააზრი ის გახლავთ, რომ საქართველოში იზღუდება პრესა, აზრის მონოპოლია კი მხოლოდ ხელისუფლების ხელთაა და ა. შ. საოცარია, რომ ამას წერს ის გაზეთი, რომელსაც იანვრის თვეში ბალტიისპირეთში მომხდარი ტრაგიკული ამბების შემდეგ რამდენიმე დღე ნეიტრალურ-მომლოდინე პოზიცია ეკავა და მხოლოდ შემდეგ, როცა გაირკვა, რომ ხელისუფლებამ უკან დაიხია, დაიწყო კრიტიკული მასალების ბეჭდვა. მოგვიანებით ეს თვითონ ამ გაზეთმა აღიარა. მართალია, „იზვესტიამ" შემდგომ თავი გამოიდო და დაგმო სამხედროების აქცია, მაგრამ ვინც ეს ამბავი მოახდინა ბალტიისპირეთში, დაუსჯელი დარჩა. ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში ასეთ შემთხვევაში პრესა არ გაჩერდებოდა მანამ, სანამ არ მიაღწევდა დამნაშავეთა სასამართლოსთვის გადაცემას. სწორედ ეს არის დასავლეთში პრესის დემოკრატიულობის ერთ-ერთი გამოხატულება. იგივე გაზეთი ე. წ. სამხრეთ ოსეთის ამბებს მხოლოდ ჩრდილოეთ ოსეთის საინფორმაციო წყაროებიდან მიღებული ცნობების საფუძველზე აშუქებს და სხვა საკავშირო გაზეთებთან და ცენტრალურ ტელევიზიასთან ერთად ფაქტობრივად ცივ ომს აწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ. გადავხედოთ გაზეთ „პრავდას", ეს ხომ შავრაზმული გაზეთია. მაგრამ ცინიზმის დაფნის გვირგვინი, მაინც მოსკოვის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა „ვრემიას" ეკუთვნის, რომლის გადაცემებიც, ალბათ, მალამოსავით ედება იმ ადამიანებს, ნოსტალგიას რომ განიცდიან ლ. ბრეჟნევის ხანაზე. ყველასათვის კარგად ცნობილია, რომ ცენტრალურმა ტელევიზიამ აკრძალა ცნობილი პროგრამა „ვზგლიადი" და ზოგიერთი სხვა პროგრამა, რომელიც შედარებით მაინც კრიტიკულ მიდგომას ამჟღავნებდა მიმდინარე მოვლენებისადმი. მართალია, ზოგიერთი რუსი ჟურნალისტი იმედოვნებდა, რომ ეს დროებითი მოვლენა იქნებოდა, მაგრამ დრო მიდის, საქმე კი ადგილიდან არ იძვრის. ასე რომ, ჩვენ რეაქციული ძალების გაძლიერების ფაქტის წინაშე ვდგავართ. სამაგიეროდ ე. წ. ცენტრიდან უკიჟინებენ საქართველოს, რომ აქ ზღუდავენ პრესის თავისუფლებასა და დემოკრატიას. სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირში სიტყვა დემოკრატია გახდა საშუალება — თავისებური მათრახი, რომელსაც ისევე როგორც ძველად, დემაგოგიურ იარაღად იყენებენ. დემოკრატია ეს ხანგრძლივი პროცესია, რისი მაგალითიცაა ევროპის ისტორია, ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ დემოკრატიისათვის აუცილებელი პირობა ესაა კერძო საკუთრება, საბაზრო ეკონომიკა, ცხოვრების მაღალი დონე და, რაც მთავარია, სათანადო მორალურ-ეთიკური, ინტელექტუალური დონის მქონე საზოგადოება, რაც ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში შესაბამის განათლების სისტემაზეა დაფუძნებული. ესაა სწორედ ის ამოცანები, რომელსაც მიზნად ისახავს საქართველოს ახალი ხელისუფლება. ამ ამოცანების განხორციელებასა და რეფორმების ჩატარებაში მას ხელს უშლიან როგორც შინაური, ისე გარეშე ძალები, უკიჟინებენ რა არადემოკრატიულობას, დიქტატურასა და სხვა, მაშინ როდესაც საზოგადოებას, რომელიც ტოტალიტარული სისტემიდან ახალ სისტემაზე გადადის, შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ დემოკრატიის გარკვეული ელემენტები. არსებულ ურთულეს პირობებში, დღეს უკვე იდგმება პირველი ნაბიჯები საქართველოში დემოკრატიული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ასაშენებლად და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ხდება მაშინ, როდესაც საქართველოში ნამდვილი ომია, მიმართული აქ მიმდინარე პროცესებისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, საამისოდ ე. წ. ცენტრი სხვადასხვა ფორმებსა და საშუალებებს (პრესა, ტელევიზია...) მიმართავს.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ ფაქტზე. უცხოეთის პრესის მონაცემების თანახმად, როდესაც ბალტიისპირეთში ყველაფერი მზად იყო იმისათვის, რომ გაერეკათ პარლამენტი და გადაეყენებინათ ვ. ლანდსბერგისი, ბოლო მომენტში მ. გორბაჩოვმა უკან დაიხია. დაინახა რა დასავლეთის მძაფრი რეაქცია ამ მოვლენებზე. ამჟამად კრემლი სამაჩაბლოში ისეთ პოლიტიკას ატარებს, რომ დისკრედიტაცია გაუკეთოს საქართველოს ახალ ხელისუფლებას, რაც გათვლილია იმაზე, რომ საჭიროების შემთხვევაში დასავლეთმა არავითარი რეაგირება არ მოახდინოს და არ დაიცვას ის „ბარბაროსები", რომლებიც თვითონ ჩაგრავენ სხვებს. მაგრამ აქ არის კიდევ ერთი ძალზედ სერიოზული მიზეზი, ესაა გეოპოლიტიკური ფაქტორი. საქმე ისაა, რომ ცხინვალი ფაქტობრივად საათნახევრის მანძილზე მდებარეობს თბილისიდან და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. დღეს სამაჩაბლოში შექმნილი ვითარება საქართველოს დამოუკიდებლობის ხელისშემშლელი ფაქტორია. როგორც ვხედავთ, ჩვენს წინააღმდეგ შემუშავებულია მზაკვრული გეგმები და ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე, არ ცდილობს რა გაერკვეს საქმის ვითარებაში, ისეთ ცნობებს გადასცემს საკავშირო, თუ უცხოეთის საინფორმაციო საშუალებებს, რაც ზემოაღნიშნულ ძალებს ხელს აძლევს ამ პოლიტიკის გატარებისას. მეტად ნიშანდობლივია, რომ გაზეთ „საქართველოში" (№ 5, 12 III. 91 წ.). საზოგადოების ერთი ჯგუფის წერილი პრესის შეზღუდვისა და მოსალოდნელი დიქტატურის შესახებ თითქმის ერთდროულად დაიბეჭდა ა. ივანოვ-სმოლენსკის ზემოხსენებულ წერილთან ერთად გაზეთ „იზვესტიაში", ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ა. ივანოვ-სმოლენსკიმ აღნიშნული წერილისათვის მასალები მოაგროვა თბილისში. რა არის ეს? — უნებლიე დამთხვევა, თუ გამიზნული სოლიდარობა. ნიშანდობლივია, რომ ე. წ. ცენტრალურ პრესაში დროდადრო არა მარტო საქართველოზე, არამედ ბალტიისპირეთის ქვეყნების შესახებაც ჩნდება უარყოფითი ხასიათის მასალები. მაგალითად იმავე „იზვესტიაში" დაბეჭდილია საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ა. ნიკოლაევის წერილი, სადაც ნათქვამია: „არც ისე დიდი ხნის წინ ყველა იმ ადამიანს, რომელიც ტოტალიტარულ რეჟიმს არ ემორჩილებოდა, ხალხის მტრად აცხადებდნენ. ამჟამად კი სხვა უკიდურესობასთან გვაქვს საქმე. აბა მაგალითად, შეეცადეთ ლიტვაში პარლამენტი გააკრიტიკოთ, რომელიც უკვე ვ. ლანდსბერგისის ჭიანჭველების ბუდედ მონათლეს. თქვენ მაშინვე ერის მოღალატეობას დაგაბრალებენ და სამსახურიდან დაგითხოვენ". როგორც ვხედავთ, ლიტვის მთავრობას აქ დიქტატურის დამყარების მცდელობას უკიჟინებენ. ამას აკეთებენ ისინი, ვინც ფაქტობრივად მხარი დაუჭირეს და სული შთაბერეს ბალტიის ქვეყნებში იანვრის ამბებს. ამას ჰქვია ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს. ასე რომ, ის ბრალდებები, რომლებიც ასე ჰგავს ერთმანეთს ჩვენი და ბალტიისპირეთის მიმართ, კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს არის გამიზნულად გაკეთებული და ნაწილი იმ პროპაგანდისტული ომისა, რომელსაც ჩვენს წინააღმდეგ აწყობენ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ბალტიისპირეთი ასე იოლად არ ეგება კრემლის პროპაგანდასა და ხრიკებს. აქ თვით რუსი მოსახლეობაც კი შეუერთდა იმ ათასობით ლიტველს, პარლამენტის შენობას რომ იცავდა. ჩვენთან კი ზოგიერთები ცდილობენ ხალხის მიერ არჩეულ ეროვნულ პარლამენტს ლახვარი ჩასცენ იმ დროს, როდესაც მაქსიმალურად უნდა ვცდილობდეთ ჩვენი ტრაგედიის ამბავი ვაუწყოთ მთელს მსოფლიოს, მხარი დავუჭიროთ იმ ხელისუფლებას, რომელმაც სამოცდაათი წლის განმავლობაში პირველად მიაღწია იმას, რომ უშიშრად, როგორც თანასწორი თანასწორს ელაპარაკება კრემლს და აკეთებს იმას, რასაც ბოლო დრომდე ვერ ბედავდნენ ჩვენზე დიდი სახელმწიფოები — პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი სხვა ქვეყანა.

ჩვენს საზოგადოებაში ბევრს კამათობენ და მსჯელობენ მიმდინარე მოვლენებისა და, ცხადია, ე. წ. სამხრეთ ოსეთის შესახებ. ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება კონფლიქტის გამღვივებელ ფაქტორადაც მიაჩნია, მაგრამ ესეც გარკვეულ მიამიტობად უნდა ჩაითვალოს მათი მხრიდან. სამაჩაბლოს ამბები ფაქტობრივად 1990 წლის აპრილის დადგენილების შედეგია. ამ დღეს საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირის სუბიექტები არიან როგორც მოკავშირე რესპუბლიკები, ისე მოკავშირე ავტონომიები. ცხადია, რომ ამ კანონით ისინი ერთმანეთს გაუთანაბრეს. ფაქტობრივად, ეს იყო საქართველოდან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქისა და სხვა ავტონომიების გამოყოფის იურიდიული დაკანონება. სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე რ. ნიშანოვმა ამას წინათ აღნიშნა, რომ ავტონომიურ რესპუბლიკებს აქვთ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის უფლება. ასე მოქმედებენ არა ჩალმიანი ყიზილბაშები, არამედ კოსტუმებში გამოწყობილი კანონმდებლები, რომლებიც უკანონობას კანონიერების საბურველით ჩადიან და რეალურად საქართველოს დაშლა-დანაწევრებას ისახავენ მიზნად. ასეთ ვითარებაში საქართველოსათვის ერთადერთი გამოსავალი და თავდაცვის საშუალება იყო ის გადადგმული ნაბიჯი, რომლის ძალითაც აპრილის კანონისა და სექტემბრის გადაწყვეტილების იურიდიული გაუქმება მოხდა, მაგრამ მოსკოვი მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ არ მიმართავს ამგვარ ხერხებს. ამისათვის საკმარისია გადავხედოთ თვით ე. წ. ცენტრალური პრესის ზოგიერთ ორგანოს („მოსკოვსკიე ნოვოსტი" და სხვა), სადაც აღნიშნულია, რომ კრემლი აქეზებს რუსეთის ავტონომიურ რესპუბლიკებს, რათა გამოაცხადონ სუვერენიტეტი და არ დაემორჩილონ ბ. ელცინს. ამით კრემლი ცდილობს ბ. ელცინის დასუსტებასა და დამხობას. ბუნებრივია, თუკი ე. წ. ცენტრი შეძლებს ბ. ელცინის ჩამოცილებას, ამ სუვერენიტეტსაც გააუქმებს. ასე რომ, აშკარაა, ავტონომიების წაქეზებით იმპერია ებრძვის საქართველოს, მოლდოვას და თვით რუსეთსაც კი. ფაქტობრივად საქართველო აწარმოებს ტრაგიკულ ომს თავისი ტერიტორიის მთლიანობის შესანარჩუნებლად. ასეთ ვითარებაში უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა ქართველს, თვითეულ ჩვენგანს კარგად უნდა ესმოდეს ამა თუ იმ პრობლემის დაყენების დრო და მომენტი. დემოკრატიული აზროვნების დამახასიათებელი ნიშანი სწორედ ესაა. შეგვიძლია მოვიყვანოთ უამრავი მაგალითი იმისა, თუ ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნებში როგორ ამკაცრებენ კანონებს და როგორ თოკავენ იმ ძალებს, რომლებიც ხელისუფლებას ებრძვიან იმ მომენტში, როდესაც ამა თუ იმ ქვეყანას უჭირს. ისტორიიდან ვიცი, რომ ომის დროს დემოკრატიული მთავრობა და ოპოზიცია მაშინვე ერთიანდება და წყდება ყოველგვარი პოლიტიკური ბრძოლა ერთმანეთში. თვით ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი არის ხოლმე ისეთი პერიოდი, როდესაც ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე დროებით იზღუდება გარკვეული დემოკრატიული უფლებები. ასე იყო მაგალითად ორმოცდაათიანი წლების ამერიკაში, რომელიც მაკარტიზმის ხანად არის ცნობილი. ამ დროს ამერიკის დემოკრატიული სისტემა დაუცველი აღმოჩნდა საბჭოთა ტოტალიტარიზმის შემოტევისაგან თვით ამერიკის ტერიტორიაზე. ამერიკამ იგრძნო დიდი საფრთხე. კომუნისტებისა და კომუნისტი აგენტების გავლენა სწრაფად გაიზარდა. მათ საბჭოთა კავშირისათვის ატომური იარაღისა და სხვა შეიარაღებასთან დაკავშირებული საიდუმლოებათა გატაცებაც კი მოახერხეს. ის მძაფრი რეაქცია, რომელიც ამას მოჰყვა ამერიკის მხრიდან, არ შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიულად. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ერთადერთი გამოსავალი, რათა დემოკრატიას თავი დაეცვა. აღსანიშნავია, რომ მაკარტიზმის პერიოდში ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფო დაწესებულებებში, სამეცნიერო ინსტიტუტებში, ჰოლივუდში და სხვაგან, ატარებდნენ კრებებს, ბევრი კიდევაც დაითხოვეს სამსახურიდან როგორც მემარცხენე, ანდა მათი თანამგრძნობი, ვინაიდან, ნებსით თუ უნებლიედ, თავისი მოქმედებით საბჭოთა კავშირის ინტერესებს უწყობდნენ ხელს. სხვათა შორის სწორედ ამგვარი მემარცხენეების მხილებით მიიპყრო ყურადღება მაშინ ახალგაზრდა როლანდ რეიგანმა. ნიშანდობლივია, რომ ის ანტიკომუნისტური სულისკვეთება, მას რომ აღმოაჩნდა, მთელს მის ცხოვრებას გაჰყვება და შემდგომში დიდ როლს ითამაშებს საბჭოთა კომუნიზმის დამარცხებაში. ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზეც, რომ როდესაც ამ პროცესებს სენატორი ჯ. მაკარტი ხელმძღვანელობდა, ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფო იყო. მიუხედავად ამისა ეს ქვეყანა მაინც დიდ შიშს განიცდიდა საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის გამო. ცნობილია ისიც, რომ ვიეტნამთან ომის დროს ამერიკელებს ფაქტობრივად ძალით მიჰყავდათ ჯარისკაცები და მკაცრად სჯიდნენ იმათ, ვინც უარს იტყოდა არმიაში სამსახურზე. მკაცრ ზომებს მიმართავდნენ იმათ წინააღმდეგაც, ვინც პროტესტს უცხადებდა ვიეტნამის ომს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ დემოკრატიული სისტემა არის ისეთი სისტემა, რომელიც მუდმივი განახლების პროცესშია, ყველაზე დემოკრატიულ საზოგადოებაშიც კი საჭიროა სიფხიზლე, ყოველდღიური ბრძოლა დემოკრატიისათვის და მის დასაცავად. მაგრამ ხშირად, როცა საკითხი დგება — ეროვნული ინტერესები თუ დემოკრატია, მაშინ ეროვნული ინტერესები ყოველთვის წინა პლანზე გამოდის. მაგალითად, როდესაც რომელიმე დემოკრატიული სახელმწიფო ომშია ჩაბმული, ის გარკვეულად ზღუდავს პრესის მოქმედებას, რათა მოწინააღმდეგეს ხელში არ ჩაუვარდეს საჭირო ინფორმაცია. მოვიყვანთ ნაწყვეტს ამერიკის „იუნაიტედ პრეს ინტერნეშნელის" სააგენტოს მიერ გაზეთ „იზვესტიის"-თვის (13 მარტი № 61) მიწოდებული ინფორმაციიდან. სტატიის სათაურია „ჯორჯ ბუში და პრესის თავისუფლება", „ბუშის ადმინისტრაციას ბრალს სდებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მანიპულირებებში. ამ რამდენიმე დღის წინ ამერიკის რეპორტიორთა პრესის თავისუფლების კომიტეტმა თავის მოხსენებაში მოიყვანა ასოცდათხუთმეტზე მეტი შემთხვევა, როცა ამერიკის მთავრობა ზღუდავდა ინფორმაციის მიღების წყაროებს. ამ ქმედებას ისინი იწუნებენ და მიაჩნიათ, რომ იგი საშიშროებას უქმნის პრესის თავისუფლებას და ასუსტებს მასობრივი ინფორმაციის ფუნქციას, რომელიც მოწოდებულია იყოს საზოგადოებრივი მეთვალყურე. ამასთანავე მოხსენებაში მთავრობას ბრალი ედება დეზინფორმაციებსა და გასაიდუმლოებაზე, რის გამოც მომხსენებელი პასუხისმგებლობას აკისრებს თეთრი სახლის ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლებს, პენტაგონსა და იუსტიციის სამინისტროს — პრესის შეზღუდვის თითქმის ნახევარი მოდის სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომზე. ყველა დემოკრატიული ქვეყნისთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ ომის დროს პრესაზე წესდება ცენზურა. ასე მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში სპარსეთის ყურეში საომარი მოქმედების დაწყების შემდგომ. ასევე იყო გრენადაზე თავდასხმის დროსაც. როდესაც ჯორჯ ბუშმა გადასხა ჯარები გრენადაზე, ჟურნალისტებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ და პირველ ხანებში ისინი არც კი შეუშვეს იქ. შეიძლება ვინმეს პარადოქსულად მოეჩვენოს, მაგრამ ამ თვალსაზრისით დღეს საქართველო ამერიკასთან შედარებით, გაცილებით დემოკრატიულია. საქმე ისაა, რომ აქ მოვლენილი უცხოელი ჟურნალისტები უშუალოდ ცხინვალში ეცნობოდნენ მოვლენებს, რის გამოც ბევრი მათგანი გაოცებას ვერ მალავდა, რომ მათ ასეთი საშუალება მიეცათ. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ აღნიშნულმა ფაქტმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე, რაც მათ პუბლიკაციებშიც აისახა. საზღვარგარეთ იბეჭდება ინტერვიუების სერია რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან, ასეთი რამ კი უცხოეთში დიდ აღიარებად ითვლება.

სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებას აკლია ინფორმაცია, იზოლაციამ გარე სამყაროსაგან დიდი ზიანი მიაყენა მას. ჩვენ ბევრი რამ სასწავლი და გასააზრებელი გვაქვს. პირველ რიგში კარგად უნდა გავერკვეთ, თუ როგორ ფუნქციონირებს დასავლეთის პოლიტიკური სისტემა და დემოკრატია.

დემოკრატია ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ჩვენთან მხოლოდ იწყება. ის საზოგადოება, რომელსაც ჩვენ ვეკუთვნით, ყველაზე საშინელი ექსპერიმენტის მსხვერპლი გახდა, ეგრეთწოდებული ათეისტური ტოტალიტარიზმისა და ჰომო სოვეტიკუსიდან ჰომო დემოკრატიკუსისაკენ გადასვლას დრო სჭირდება. ესპანეთს თითქმის თცდაათი [?] წელი დასჭირდა, რათა კომუნისტურიდან დემოკრატიულ რეჟიმზე გადასულიყო. ზოგიერთს მიაჩნია, რომ დემოკრატიის მიღწევა უფრო ადვილია, ვიდრე დამოუკიდებლობის, რაც სინამდვილეში ასე არ არის. ნამდვილი დემოკრატიის დამყარება შესაძლებელი იქნება მაშინ, როდესაც ჩვენ აღარ ვიქნებით ტოტალიტარული სახელმწიფოს დანამატი, მანამდე კი ლაპარაკი დემოკრატიაზე, მით უმეტეს მტრის შემოსევის პირობებში, უფრო დემაგოგიური ზემოქმედებაა საზოგადოებაზე. ის ტოტალიტარული სახელმწიფო, რომელშიც დღეს სამართლებრივად აღარ შევდივართ, ფაქტობრივად არ შეცვლილა, ვინაიდან უშიშროების კომიტეტი და არმია ეს არის სახელმწიფო სახელმწიფოში, რომელიც არ ექვემდებარება პარლამენტს და ასეთ ვითარებაში ჩვენგან მოითხოვენ გავხდეთ დემოკრატიული ოაზისი. უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ისიც, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებულა ტოტალიტარული სისტემა ასე ხანგრძლივად. დღეს მთელი ჩვენი ენერგია უნდა მივმართოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, რაც მთავარი პირობაა დემოკრატიის დამყარებისათვის.

**მანანა ბაბაშვილი**

# საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკონი

## ბიუროკრატია

ბიუროკრატია სიტყვასიტყვით კანცელარიის ბატონობას ნიშნავს (ბიურო — კანცელარია და კრატოს — ხელისუფლება, ბატონობა). ზოგადად ბიუროკრატია, როგორც სოციოლოგიური კატეგორია, არის მმართველობითი სტრუქტურების და ურთიერთობათა სპეციფიკური ფორმა, საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების ისეთი ორგანიზაციული სისტემა, რომელიც ემსახურება მმართველთა გარკვეული ჯგუფების (ბიუროკრატთა) პარაზიტულ არსებობას საზოგადოების სხვა დანარჩენი ნაწილის ხარჯზე. ბიუროკრატიის დამახასიათებელი ნიშნებია: 1. მოსამსახურეთა პრივილეგირებული ფენის ჩამოყალიბება, რომელიც ხელისუფლებას ახორციელებს და ბატონობს ორგანიზაციებში, 2. მოსახლეობის უმრავლესობის ნების უგულებელყოფა, 3. მუშაობის ფორმალური მხარის წინა პლანზე წამოწევა და შინაარსის უკანა პლანზე გადაწევა, 4. იერარქიულობა, 5. ურთიერთობათა მკაცრი რეგლამენტაცია და ა. შ.

სიტყვა ბიუროკრატიას მეორე მნიშვნელობაც აქვს — ნიშნავს იერარქიულად ორგანიზებულ სახელმწიფო აპარატის პერსონალს.

საბჭოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლექსიკონებს თუ დავუჯერებთ, ბიუროკრატიის მთელი სივაგლახე ე. წ. ბურჟუაზიული საზოგადოებისთვის ყოფილა დამახასიათებელი, ხოლო სოციალიზმი თურმე ყოველმხრივ ამსხვრევდა ბიუროკრატიზმის ყველა ფორმას და გამოვლინებას. ამას ჰქვია ჩემი შენ გითხარი და გული მოგიკალიო. არადა, სოციალიზმმა, როგორც სოციალურმა სისტემამ, უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ბიუროკრატიული სისტემა და ბიუროკრატიზაციის პროცესი. საბოლოოდ, ეს სისტემა ისე ჩაეფლო ბიუროკრატიზმის ჭაობში, რომ დღეს იგი განწირულის ხმით ამაოდ უხმობს მხსნელს. ისე კი, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ „სოციალიზმის გაშლილი მშენებლობის“ პერიოდში კი არა, ადრეც თუკი რაიმე „წარმატებები“ ჰქონდა რუსეთის სახელმწიფოს სოციალურ ურთიერთობათა სისტემაში, ეს ბიუროკრატიის განვითარება იყო.

●

ბიუროკრატია ძირითადად სალანძღავ სიტყვად იქცა. მნიშვნელოვანწილად ეს ასეცაა, მაგრამ ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ კარგად აწყობილი ბიუროკრატია ყველა საზოგადოებას სჭირდება — ცნობის გამცემმა ცნობა უნდა მოგცეთ დროზე, როგორც წესი და რიგია.

ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში, ბაბილონში, ჩინეთში ჩაისახა მართვის ბიუროკრატიული ფორმები. განსაკუთრებით კი განვითარდა დასავლეთ ევროპაში ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა სისტემის ჩასახვის ეპოქაში.

ბიუროკრატია სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის პროცესით იწყებს აყვავებას. ხელისშემწყობი პირობებია დემოკრატიის დეფიციტი და ზნეობის დეგრადაცია. იგი ადვილად იქცევა საზოგადოების მხრივ პრაქტიკულად კონტროლსდაუქვემდებარებელ, საგანგებო სტატუსის მქონე კორპორაციად, პრივილეგირებულ „მბრძანებელ ელიტად“, მკაცრი რეგლამენტაციით ამკვიდრებს იერარქიულ ურთიერთობათა სისტემას.

ბიუროკრატიის პირველი თეორიული საფუძვლები ცნობილი ფრანგი მოაზროვნის, უტოპიური სოციალისტის სენ-სიმონის შრომებშია მოცემული. შემდეგ იგი განავითარა ცნობილმა ფრანგმა სოციოლოგმა ოგიუსტ კონტმა. ხოლო ფუნდამენტური გამოკვლევები ამ პრობლემას გერმანელმა სოციოლოგმა მაქს ვებერმა მიუძღვნა. ვებერის აზრით, ბიუროკრატია საზოგადოებრივი წესრიგისა და ეფექტური სოციალური ორგანიზაციის აუცილებელი ფორმაა. მან პოზიტიური შინაარსი მისცა ტერმინ „ბიუროკრატიას“. ვებერის დებულებათა გაგრძელებაა თანამედროვე მენეჯერიზმის კონცეფცია.

ბიუროკრატიის გაბატონების პირობები პოტენციურად ნებისმიერ საზოგადოებაშია. განსაკუთრებით ნოყიერი ნიადაგი კი მან სოციალიზმის პირობებში ნახა. ამას ხელი შეუწყო კომუნისტურ-იმპერიულმა ადმინისტრაციულმა სისტემამ, ხელისუფლების ცენტრალიზაციამ, პიროვნების თავისუფლებისა და დემოკრატიის ჩახშობამ, მოქალაქეთა დაბალმა პოლიტიკურმა კულტურამ.

ბიუროკრატია არ უნდა გავაიგივოთ ორგანიზებულობასთან საერთოდ. თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში მართვის სრულყოფილი ორგანიზაცია სულაც არ არის ბიუროკრატია.

რუსული და საბჭოური მმართველობითი სისტემის დამკვიდრებამ საქართველოშიც შექმნა პირობები ბიუროკრატიზაციის ფართოდ გავრცელებისათვის. ჩვენც არაერთხელ შევჯახებივართ ბიუროკრატიულ რუტინას, სადაც ქაღალდი უფრო მნიშვნელოვანი და ღირებულია, ვიდრე თვით ადამიანი. „მე მჭირდება ცნობა ცნობისათვის“...

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ბიუროკრატიის პრობლემები ფართოდ აისახა მხატვრულ ლიტერატურაშიც. საკმარისია გავიხსენოთ ფრანც კაფკა. პრაღაში, თავისუფალ გერმანულ უნივერსიტეტში სწავლისას იგი ისმენდა ცნობილი გერმანელი სოციოლოგის, ბიუროკრატიის პრობლემების სპეციალისტის ა. ვებერის ლექციებს. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, ამ ლექციებს უკვალოდ არ ჩაუვლია „პროცესის“, „ამერიკის“ და სხვა ნაწარმოებების ავტორისათვის.

**ნოდარ კერესელიძე**



# ვარაზ-ბაქარი

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მირდატის გარდაცვალების შემდეგ ქართლის (იბერიის) მეფე გახდა მისი ძე ვარაზ-ბაქარი, მირიანის, ჩვენი პირველი ქრისტიანი ხელმწიფის, შვილთაშვილი (IV ს. II ნახევარი). სახელოვანი მამა-პაპისაგან განსხვავებით, ვარაზ-ბაქარი „იყო კაცი ურწმუნო და მოძულე სჯულისა“. თუმცა, ვარაზ-ბაქარი თავისი ულმერთობის აშკარად განცხადებას ვერ ბედავდა, „რამეთუ მოქცეულ იყო ქართლი, და დიდსა სარწმუნოებასა შინა იყუნეს აზნაურნი და ყოველი ერი ქართლისა. და ვარზ-ბაქარ შიშისა მათისაგან ვერ განცხადებდა დატევებასა სჯულისასა; არა სადა აღაშენა ეკლესია, არცარა მატა შენებულთა, და ყოვლითავე იქცეოდა უსჯულოდ“. ვარაზ-ბაქარის უსჯულოება იქამდე მისულა, რომ ორი ცოლი შეურთავს — „ერთი ასული თრდატისი, რევის ძისა, მირიანის ძისწულისა, და ერთი ძისწული ფეროზისი, მირიანის ასულის წულისა“.

ვარაზ-ბაქარის დროს სპარსეთის მეფეს ქართლისა და სომხეთის დასახარკად გამოუგზავნია „ერისთავი სპითა დიდითა“. სომხებს ვარაზ-ბაქარისთვის მოციქული მიუგზავნიათ, წინადადება მიუციათ ერთობლივად ებრძოლათ, სპარსელების წინააღმდეგ ბერძნებისა და ჩრდილოკავკასიელების მონაწილეობით კოალიცია შეექმნათ, მაგრამ ვარზ-ბაქარმა ბრძოლის დაწყება ვერ გაბედა, „რამეთუ იყო იგი ჩუკენი, მოშიში, და უკუჯდა იგი ხევსა კახეთისასა, და აღაშენა ციხე ხიდრს, და გაამაგრნა ციხე-ქალაქნი, და უბრძანა ყოველთა, რათა დამალნენ ჯუარნი“. სპარსელებმა ჯერ სომხეთი მოაოხრეს, შემდეგ ქართლში შემოიჭრნენ. ვარაზ-ბაქარი მტერს ეახლა „შევრდომით და ითხოვა შენდობა“. სპარსთა ერისთავმა ვარაზ-ბაქარს მოსთხოვა რანი და მოვაკანი დაეთმო, ეკისრა ხარკის გადახდა. „მაშინ ვარაზ-ბაქარ ვერა პასუხი მიუგო შიშისაგან დიდისა, მისცა რანი და მოვაკანი, და გაუკეთა ხარკი, ხოლო ერისთავმან სპარსთამან მისცა ციხე ტფილისისა; და მიერითგან იქმნნეს სომეხნი და ქართველნი სპარსთა მოხარკენი“. ამის შემდეგ ვარაზ-ბაქარს განუდგა კლარჯეთი და რომის იმპერიას დაექვემდებარე. „დაჰრჩა ვარაზ-ბაქარს ქართლი, თვინიერ კლარჯეთისა, და ერეთი და ეგრისი“. სპარსთა ერისთავმა ტყვედ წაიყვანა „შვილნი ფეროზისნი, ასულის წულნი მირიანისი, მორწმუნისა მეფისანი, და ჭუეყანა მათი საზღვარი ქართლისა მისცა ვარაზ-ბაქარსავე“.

(ვარაზ-ბაქარს, ანუ ვარაზ-ბაკურს, ისტორიკოსები ჩვეულებრივ აიგივებენ ამიანე მარცელინუსთან მოხსენიებულ ასფაგურთან, რომელიც 368 წელს რომაელთა მომხრე საურმაგის განდევნის შემდეგ გაამეფეს ირანელებმა. 370 წელს ვარაზ-ბაქარი იძულებული გახდა საურმაგისთვის მტკვრის სამხრეთით მდებარე ქართლის ნაწილი დაებრუნებინა. 70-იანი წლების ბოლოს ვარაზ-ბაქარმა ირანელთა დახმარებით ქართლი ისევ გააერთიანა.)

„მოკუდა ვარაზ-ბაქარ და დარჩეს შვილნი მისნი წურილნი, რომელნი ვერ იპყრობდეს მეფობასა“.

**ლადო ტატიშვილის ნახატი**

# გავტეხოთ ციხე შიგნიდან?!

(დასასრული)

გვაქვს, პროფესიონალია და თავის საქმეს აკეთებს, მაგრამ რა ვუთხრათ ბატონ ჰანტურიას?! როდემდე შეიძლება ქართველი კაცის ხელი ჰრიდეს იმ ბეწვის ხიდს, რომელმაც უფსკრულზე უნდა გადაგვატაროს?! როდემდე შეიძლება ჩვენს მტერს ჩვენვე ვულესავდეთ მახვილს?!

გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ 21 აპრილის ნომერში მოთავსებულია ბატონი აკაკი მიქაძის კორესპონდენცია — „საქართველოს პარლამენტი: დამოუკიდებლობა მოითხოვს მოთმინებას“. ინფორმაცია თითქოსდა ნეიტრალურია, ხაზგასმულად ობიექტურია (დასავლური ჟურნალისტიკის სტილში), მაგრამ ამავე დროს, მაგალითად, წერია — „აჭარის საკითხი გადაწყდება საერთოქართულ რეფერენდუმზე“. რა არის ეს, თუ არა აშკარა დეზინფორმაცია?! უცხოელმა მკითხველმა, ეტყობა, უნდა იფიქროს, რომ აჭარის ავტონომიის არსებობა-არარსებობის საკითხი აჭარაში კი არ გადაწყდება, არამედ თბილისში.

კორესპონდენტი წერს — „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის გიორგი ჰანტურიას აზრით, საქართველოში სდევნიან არა მხოლოდ იქ მცხოვრებ ოსებს, არამედ სხვაგვარად მოაზროვნეებსაც“. აკაკი მიქაძე, მაიკლ დობსისა არ იყოს, ამ განცხადებას კომენტარს არ უკეთებს, მაგრამ დობსი ამერიკელია, მიქაძე კი ქართველი, ჰოდა, ეს გარემოება, ჩვენდა სავალალოდ, მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს მიქაძის პუბლიკაციებს. რეალურად კი მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რბილად რომ ვთქვათ, სინამდვილეს არ შეესაბამება და კომენტარის გარეშე ასეთი რამის ბეჭდვა უცხოელი მკითხველის შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად.

გაზეთ „დემოკრატიჩესკაია როსიას“ 12 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ ბატონ ჭაბუა ამირეჯიბთან. ცნობილ ქართველ მწერალს ესაუბრა ქალბატონი ლიდია გრაფოვა. გთავაზობთ ნაწყვეტს.

„— და მაინც, ჭაბუა ირაკლის ძევ, დაგვეთანხმეთ: აპრილის ტრაგედია რომ არ მომხდარიყო, ქართველ ხალხს დღეს შეიძლება სხვა ლიდერი ჰყოლოდა, არა ისეთი სასტიკი, როგორიც გამსახურდიაა.

— დიახ, არჩევნებში გამსახურდიას გამარჯვება იყო პასუხი ცენტრის ბოროტმოქმედებაზე. ნახეთ რა გამოვიდა: სისხლი დაღვარეს, რომ ექსტრემისტები დაეშოშმინებინათ, ყველა დაეშინებინათ, მაგრამ საწინააღმდეგო ეფექტი მივიღეთ — ხალხის უმეტესობა მემარცხენედ, „ექსტრემისტულად“ განეწყო. საკმარისია დღეს ვინმემ გამსახურდია გააკრიტიკოს, რომ უმალ რომელიმე დედაბერი აცრემლებული შესძახებს: „ღმერთმა მოგვცა ეს წმინდა ადამიანი, რატომ გამოდიხართ მის წინააღმდეგ?“

— მგონი თქვენც იყრიდით კენჭს პარლამენტში?

— დიახ. მე წამომაყენა საზოგადოებამ „თანხმობა და აღორძინება“, ესაა ინტელიგენციის საზოგადოება, რომელიც რადიკალური მეთოდიკის წინააღმდეგია, „ვერც ერთი პარტია, გარდა „მრგვალი მაგიდის“ ბლოკისა და, მგონი, 42 კომუნისტისა არჩევნებში ვერ გავიდა...

— ესე იგი კომუნისტები და ექსტრემისტები არჩევნების დროს თანამშრომლობდნენ?

— დიახ, აქ დაპირისპირებულ მხარეთა ინტერესები დაემთხვა, კომუნისტები ვარაუდობდნენ, რომ ისეთი ფიცხი ბიჭები, როგორებიც არიან გამსახურდია და მისი მომხრეები, ძალაუფლების შენარჩუნებას ვერ შეძლებდნენ და ხალხი მათ თვითონ დაამხობდა, ამ დროს გამოჩნდებოდნენ კომუნისტები როგორც მხსნელები... რესპუბლიკაში არჩევნების წინ საყოველთაო სიგიჟე სუფევდა და კომუნისტები თავისი პასიურობით ხელს უწყობდნენ ქაოსს. მათ ხომ იციან, რომ დემოკრატიას აქვს აქილევსის ქუსლი, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებაში დიქტატურა შეაღწევს, ჰოდა, იმედოვნებდნენ, რომ ხალხი ზღვარგადასული დემოკრატიისაგან დაიღლებოდა და თავად მოითხოვდა ძლიერ ხელს, კომუნისტები საარჩევნო კამპანიას თითქმის არ ატარებდნენ, მხოლოდ ერთი პლაკატი გამოუშვეს, „ჩვენ კარგები ვართ“. ეს იყო და ეს, როგორც ვიცი, მათ მინისტრების პორტფელებს დაპირდნენ. მაგრამ როდესაც „მრგვალმა მაგიდამ“ პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა (დაახლოებით 200 მანდატი), კომუნისტები ყველა ადგილიდან გააძევეს..“

შემდეგ, ინტერვიუდან ირკვევა, რომ, თურმე, ბატონმა ჭაბუამ გორბაჩოვს ურჩია („მეგაპოლის-ექსპრესში“ გამოქვეყნებული ღია წერილის მეშვეობით) დათანხმდეს საბჭოთა კავშირის კონფედერაციად გარდაქმნაზე!

ამჯერად კომენტარისგან ჩვენც თავს ვიკავებთ. რა უნდა ვუთხრათ პატივცემულ ქართველ ინტელიგენტს, რომელიც საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტს ექსტრემისტთა შორის გულისხმობს, ხოლო უცხო ქვეყნის პრეზიდენტს მეგობრულ რჩევებს აძლევს, ზრუნავს იმპერიის გაკეთილშობილებაზე?!

...კომენტარის ნაცვლად მკითხველს ვთავაზობთ სალაღობო თავსატეხს — გვიპასუხეთ, რამდენი პოლიტიკოსი, მწერალი და ჟურნალისტია საჭირო იმისთვის, რომ ციხე შიგნიდან ერთხელ და სამუდამოდ გატყდეს?

**ირაკლი ლომოური**

რედაქტორი მარიკა აბაიშვილი
სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, თედო პაატაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, თემურ ქორიძე, ნოდარ წულეისკირი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 14, ტელეფონი 98-81-57

ინდექსი 66421

იბეჭდება ოფსეტური წესით ხოშარაულის ქუჩა № 29

ფასი 50 კაპ.